# სარბიელი

სპორტული გაზეთი   შაბათი 14 მაისი 2005 №106 (2429)   ფასი 50 თეთრი


## ალანიას მოკვეთით ემუქრებიან

### კვირკველია, ბურდული, კანკავა და შაშიაშვილი დინამოში ბრუნდებიან?

ქართველი ფეხბურთელებით სავსე ვლადიკავკაზის „ალანია“ შესაძლოა, რუსული პრემიერლიგიდან მოხსნან. მიზეზი ლიცენზიის არქონაა — ოსებს რუსეთის საფეხბურთო კავშირთან პრობლემები ფინანსური დარღვევების გამო შეექმნათ, უფრო რომ დავაკონკრეტოთ, „ალანიას“ თავის ფეხბურთელებთან კონტრაქტები დარღვევებით ჰქონია გაფორმებული. არადა, რამდენიმე თვის წინ სწორედ „ალანიასთან“ გააფორმა კონტრაქტები თბილისის „დინამოს“ ოთხმა ფეხბურთელმა — დავით კვირკველიამ, ჯაბა კანკავამ, ლადო ბურდულმა და გიორგი შაშიაშვილმა.
ამ ფეხბურთელების სანაცვლოდ სატრანსფერო თანხა კი, დაახლოებით 600 ათასი დოლარი, „დინამოს“ ჯერაც არ მიუღია, ფულის გადარიცხვის ბოლო ვადა კი პირველი მაისი იყო.
ვერ გეტყვით, ოსური ფულის ვერმიღების ბრალია თუ სხვა რამის, თუმც ფაქტია, რომ „დინამოში“ უკვე ხელფასებიც იგვიანებს, რითაც, ბუნებრივია, ფეხბურთელები უკმაყოფილონი არიან. ამ ამბის საკომენტაროდ „დინამოს“ მმართველ დირექტორთან დავით პეტრიაშვილთან გვსურდა დაკავშირება, მაგრამ ვერ მოვახერხეთ, ის, როგორც უეფას ინსპექტორი, მაკედონიაშია იქაური „ვარდარის“ სტადიონის შესამოწმებლად.
მოკლედ, ვლადიკავკაზელთა პრობლემები, როგორც ხედავთ, არც თბილისის „დინამოსთვის“ უნდა იყოს სულ ერთი.
და თუ „ალანია“ პრემიერლიგიდან დაითხოვეს, გამორიცხული არ არის, კვირკველია, კანკავა, ბურდული და შაშიაშვილი „დინამოში“ დაბრუნდნენ.

## SOS დინამოს საჩემპიონო წამძღოლი ჩართულია



გურამ წიბახაშვილის ფოტო

დღეს საქართველოს ჩემპიონატში ყველაფერი არა, მაგრამ ბევრი რამ კი შეიძლება გადაწყდეს. ლიდერთა ოთხგუნდიან ჯგუფში ისეთი სიმჭიდროვეა, ვაგზლის მოედნის მეტროს სადგურში რომ იცის ხოლმე. თუმცა ამ ოთხსაც ჰყავს ყოჩი — „დინამოს“ დარჩენილ ოთხ თამაშში 9 ქულა სჭირდება, რომელთაგან სამს დღეს მოინადირებს, რადგან უფულო და ქვედა ლიგაში ცალფეხჩადგმულ „კოლხეთს“ მასპინძლობს.
დინამოელთა მდევრებს სტუმრობა უწევთ: „ტორპედო“ გამოცოცხლებულ „ბათუმთან“ ჩადის, „თბილისს“ უფრო ძნელი გასვლა აქვს ბოლნისში „სიონთან“, მეოთხეადგილოსანი და წლეულს წაუგებელი „ლოკომოტივი“ კი უმოტივაციო „ვიტ ჯორჯიას“ მიჯრით მეოთხედ წაქცევას შეეცდება.

## 1:1 უცნაური ტრადიციის თანახმად



გურამ წიბახაშვილის ფოტო

კალათბურთში ჩახედული ხალხის ვარაუდი გამართლდა. ფინალური სერიის პირველ მატჩში უიმედოდ დამარცხებულმა „ავიამშენმა“ გუშინ ტექნიკოსებს ხურდა დაუბრუნა და საერთო ანგარიშიც გაათანაბრა — 1:1.
ამრიგად, ამ გუნდების მატჩებში დამკვიდრებული ერთობ უცნაური ტრადიცია გრძელდება: „ავიამშენი“ და „სტუ-ჯეოსელი“ ერთმანეთის მორიგეობით დამარცხებას აგრძელებენ და ამას ისე აკეთებენ, თითქოს გამარჯვებული დამარცხებულზე ერთი თავით მაღლა იდგეს.
გუშინ მთლად იოლად არა, მაგრამ 8 ქულით კი იმარჯვა „ავიამშენმა“. არადა, დასაწყისში ისე ლაღად თამაშობდა, ბევრს ეგონა, სტუდენტები განადგურდებიანო. ტექნიკოსებმა მოახერხეს და ბოლო მეოთხედში ანგარიში გაათანაბრეს, მაგრამ სერიაში ჩამორჩენილ „ავიატორებს“ სტიმულიც მეტი ჰქონდათ და, როგორც აღმოჩნდა, ძალაც.
მომდევნო მატჩები 17 და 18 მაისსაა დანიშნული, მერე კი...

# ეს დინამო არ მომწონს, დინამოში არასაკმარისი დაფინანსებაა

## გია გეგუჩაძე: ჩემი ახალი გამოწვევა ევროპული გუნდია


გაფრი კეთილაძის ფოტო

თითქმის ორი თვეა, რაც გია გეგუჩაძე უმუშევარია, მწვრთნელი, ვისი გაწვრთნილი „დინამოც" დამოუკიდებელი ქართველი ფეხბურთის ისტორიაში ევროფრონტზე ყველაზე შორს წავიდა — შარშან უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე ითამაშა.

გეგუჩაძეს ალბათ მალე გამოუჩნდება სამუშაო, მანამდე კი მას ზოგად-კონკრეტულ საკითხებზე ვესაუბრეთ

— უმუშევრობით გამოწვეული დასვენება თქვენთვის სასარგებლო თუ გამოდგა?

— პირველ ყოვლისა, მსურს, ქართველ ქომაგს 13 მაისი მივულოცო. რაც შეეხება დასვენებას, ეს ყველა მწვრთნელისთვის აუცილებელია, მაგრამ ჩემი უმუშევრობით გამოწვეული დასვენება ნამეტანი გაგრძელდა.

— თქვენი აზრით, რა იყო ჩვენი ეროვნული ნაკრების ბოლო ორ შეხვედრაში ხელმოცარვის მიზეზი — როგორ მოჩანს ყველაფერი იმ სპეციალისტისთვის, ვინც მოვლენებს გარედან აკვირდება?

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემა რთულია, რადგან არ ვიცი, რა ხდებოდა გუნდში.

— საბერძნეთთან მატჩის შემდეგ აშკარად იგრძნობოდა, რომ საქართველოს ნაკრებს თურქეთთან თამაში თამაშამდე ჰქონდა წაგებული — თვით ალენ ჟირესიც კი ვერ გამოიყურებოდა ყინჩად...

— თუ ეს ყველაფერი მართლაც ასე იყო, ჩვენი ნაკრები ფსიქოლოგიურად ძალიან წამგებიან სიტუაციაში ყოფილა. როცა შედეგი არ არის, ესე იგი, რაღაც-რაღაცეები არასწორად კეთდება.

— თუ საკითხს მწვრთნელის სათამაშო კონცეფციის კუთხით მივუდგებით, მაშინ რას იტყოდით საქართველოს ნაკრებზე?

— თანამედროვე ფეხბურთზე ჩემი შეხედულება მკვეთრად განსხვავდება ჟირესისგან.

— ჟირესი ამბობს, სანაკრებო ფეხბურთელებს საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ვერ ვხედავო — ამაშიც არ ეთანხმებით მას?

— არსებული რესურსებით მართლა შესაძლებელია კარგი ნაკრების შექმნა. საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში კი არის რამდენიმე ფეხბურთელი, ვისი ნაკრებში მოსინჯვაც შეიძლება. მაგრამ ჩვენ იშვიათად ვთამაშობთ ამხანაგურ მატჩებს და თუ ვთამაშობთ, ისიც დაბალი რანგის გუნდებთან. ვფიქრობ, დინამოელი ლევან მელქაძის ნაკრებში გამოძახება და გასინჯვა შეიძლებოდა.

— ამას წინათ თქვით, საქართველო სხვათათვის ფეხბურთელების მიმწოდებელი ქვეყანააო, მაგრამ დღესდღეობით ქართველი ფეხბურთელები მიდიან აზერბაიჯანში, რუსეთის და უკრაინის ქვედა ლიგებში, ან რუსეთის პრემიერლიგის მაჩანჩალა გუნდებში...

— „დინამოს" ის შემადგენლობა რომ შეენარჩუნებინა, რომლითაც უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გავიდა და უფრო გავძლიერებულიყავით ახალი ფეხბურთელებით, დღეს საქმე სხვანაირად იქნებოდა. სანამ „დინამოდან" წამოვიდოდი, ევროპულ გუნდებთან გვქონდა დაგეგმილი მატჩები, რაც ძალიან ნაყოფიერი იქნებოდა „დინამოს" ფეხბურთელებისთვის, მაგრამ ყველაფერი ხომ ფინანსებთან მიდის. ის დაფინანსება, რაც „დინამოშია", საკმარისი არ არის. ჯაბა კანკავა და გოგიტა გოგუა საქართველოდან რუსეთში უკეთესი ანაზღაურების გამო წავიდნენ და ახლა ამ ნიჭიერი ახალგაზრდების წინსვლა შეჩერებულია. მოკლედ, თუ „დინამოს" და დანარჩენ ქართულ კლუბებსაც ბიუჯეტი არ გაეზრდებათ, არაფერი გამოვა.

— ახლანდელი „დინამო" არ მოგწონთ?

— არ მომწონს, მინდა, რომ გაცილებით უკეთესი იყოს. ამას ზოგადად ვამბობ, თორემ იმას როდი ვგულისხმობ, რომ კახა ცხადაძის „დინამო" არ მომწონს.

— გია გეგუჩაძე და „დინამო" უკვე განვლილი ეტაპია — რა იქნება ახლა თქვენთვის დიდი გამოწვევა?

— მუშაობის არ მეშინია. რამდენიმე წლის წინ თქვენს კითხვაზე, საქართველოს ეროვნულ ნაკრების მწვრთნელობა რომ შემოგთავაზონ, დათანხმდებით თუ არა, გიპასუხეთ, რომ არა. მაგრამ მას შემდეგ დრო გავიდა, სხვათა გარდა ადრე ბელგიურ „გენკში" ერთი თვე ვიმუშავე მთავარი მწვრთნელის თანაშემწედ, სადაც ვარჯიშის ჩატარებასაც მანდობდნენ. ახლა ჩემთვის დიდი გამოწვევა ევროპულ გუნდში მთავარ მწვრთნელად მუშაობა იქნებოდა.

**დავით თავართქილაძე**

**ფეხბურთის** ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატის გიორგი ნემსაძის წინასაარჩევნო კამპანია გადამწყვეტ ფაზაში შედის და უკვე მისი მხარდამჭერებიც თავიანთ პოზიციას ოფიციალურად აფიქსირებენ. პირველები ამ საქმეში არიან ფოთის „კოლხეთი" და გურიის რეგიონული ფედერაცია, რომლებმაც გუშინ განაცხადეს, რომ ხმას გიორგი ნემსაძეს მისცემენ. უახლოეს დღეებში იგივეს გააკეთებენ აჭარის და შიდა ქართლის ფედერაციები. პრეზიდენტობის კანდიდატი უკვე შეხვდა ლევან ვარშალომიძეს, მიხეილ ქარელსა და მათი რეგიონების საფეხბურთო საზგადოებას.




— გიორგი ნემსაძის წინასაარჩევნო პროგრამა მზადაა, მხოლოდ ტექნიკური საკითხებია მოსაგვარებელი — გვითხრა პრეზიდენტობის კანდიდატის საარჩევნო შტაბის უფროსმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა — ჩვენ გვსურს, რომ პროგრამა ყველასათვის ხელმისაწვდომი იყოს. საარჩევნო კამპანია მთელს საქართველოს მოიცავს და უკვე ბევრი მხარდამჭერიც გამოგვიჩნდა. ისეთებიც კი, რომელთაგან ხმას არ ველოდით. გიორგი ნემსაძე ფედერაციაში ოფიციალურ განაცხადს ხვალ-ზეგ შეიტანს.

### საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატის გიორგი ნემსაძის მიმართვა

ფეხბურთი კარგა ხანია გასცდა სიტყვა „სპორტის" ცნებას და თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი საყოველთაო, სოციალური და უფრო მეტიც — სახელმწიფოებრივი მოვლენაა.

რაც ქართული ფეხბურთი დამოუკიდებლობის გზას დაადგა, ვერა და ვერ დამყარდა მჭიდრო და საქმიანი ურთიერთობა სახელმწიფოსა და ფეხბურთის ფედერაციას შორის.

ქართულ ფეხბურთში ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ უფრო დაამძიმა ისედაც რთული მდგომარეობა, სწორედ ამან გამაბედინა მიმეღო გადაწყვეტილება, რომ კენჭი მეყარა სფფ-ის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებში.

ვინც რამეს აკეთებს, მას შეუძლებელია თეორიულად არ ჰქონდეს გააზრებული თავისი საქმე. სფფ-ის პრეზიდენტობა უნდა იყოს საშუალება და არა მიზანი-საშუალება იმ იდეებისა და პროექტების განხორციელებისა, რომელიც, ჩვენი აზრით, ღირსეულად წარმოაჩენს ქართულ ფეხბურთს მსოფლიო სარბიელზე.

დროა, მოვლენების რეალურად შეფასება ვისწავლოთ, თორემ ყველა შემთხვევაში მაქსიმალურად შედეგის დევნამ შეიძლება დიდ დანაკარგამდე მიგვიყვანოს.

დღევანდელ მსოფლიოში ყველაფერი ძალიან სწრაფად იცვლება, მათ შორის პროფესიული მომზადების დონის განმსაზღვრელი მოთხოვნები და კრიტერიუმები.

პროფესიონალიზმი და კონკურენცია (რის გარეშეც არ არსებობს არცერთი ქვეყნის განვითარება), კვალიფიკაციის განუწყვეტელ ამაღლებას და მოთხოვნების დონის მუდმივ ზრდას საჭიროებს.

უნდა გადაიჭრას საკადრო პოლიტიკის არსებითი საკითხი და ჩვენ თავი ძველებურად არ უნდა მოვიტყუოთ, ან ვაღიაროთ, რომ საქმეს ვერ ვაკეთებთ.

დროა, ზედმეტ ლოიალობას, უპრინციპობას თავი დავანებოთ და ღიად ვთქვათ ის, რაც ყველამ კარგად იცის და რაზეც არაოფიციალურ ვითარებაში დაუფარავად საუბრობენ. აუცილებელია, ფეხბურთის ფედერაციამ უპირველეს ამოცანად დაისახოს ფეხბურთელთა აღზრდის კონცეფციის შემუშავება; კარგად უნდა გავაცნობიეროთ ვის ვზრდით, როგორ ვზრდით, რა ამოცანების გადასაწყვეტად, რა საშუალებებით, რა გარემოში და ა. შ.

ფეხბურთის ფედერაცია სრულიად განსაზღვრულ და მიზანმიმართულ პოლიტიკას უნდა ატარებდეს ამ სფეროში. სხვაგვარად წარმატებაზე ფიქრი წარმოუდგენელია!

გამოსავალს ძებნა არ სჭირდება, ის ყოველთვის ნათლად ჩანს მათთვის, ვისაც დანახვა უნდა.

ჩემი გუნდის სახით მოდის ახალი თაობა თამაშის ახლებური წესებითა და კანონებით. მოდიან ადამიანები, რომლებიც ენერგიულად მოჰკიდებენ ხელს საქმეს და რომელთა აზროვნება არ იქნება დაშტამპული სტერეოტიპებით. აღსანიშნავია, რომ საუბარია არა ადამიანთა, ან თუნდაც მათი წარსული დამსახურების უარყოფაზე, არამედ უკვე თვისობრივად მოძველებულ დამოკიდებულებაზე, თუმცა ჩვენ არ გვჭირს შეუმცდარობის დაავადება და გვესმის, რომ ყველაფერ ახალს დახვეწა და შევსება სჭირდება.

წამყვან საფეხბურთო ქვეყნებში შემუშავებულია გლობალური ნაციონალური პროგრამები. რა თქმა უნდა, მზა რეცეპტები არ არსებობს და ამა თუ იმ ქვეყანაში აპრობირებული და შედეგიანი სისტემის, ადგილობრივი ტრადიციისა და თავისებურებების ბრმად გამოყენება, ისევე როგორც ეკონომიკური ვითარების გაუთვალისწინებლობა, წარმატებული ვერ იქნება და შესაძლებელია, დამატებითი პრობლემებიც კი შექმნას, მაგრამ გამოცდილების შესწავლა უთუოდ დაგვეხმარება შესაბამის გათვლებსა და სისტემის ჩამოყალიბებაში.

სფფ-მ უნდა განახორციელოს კეთილგონივრული საინვესტიციო პოლიტიკა, რათა თავი დაიმკვიდროს როგორც მაღალი დონის საიმედო ორგანიზაციამ. საჭიროა მოქნილი სტრატეგიული კურსი, გეგმაზომიერი და გააზრებული ქმედება (მიზანი, გეგმა, მოქმედება, შედეგი).

შენება დიდი საქმეა, რომელსაც დიდი მოტივი სჭირდება. ადამიანის გააზრებული ქცევის უპირველესი კომპონენტი—მოტივაცია უნდა გახდეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობის ძირითადი საფუძველი.

დასასრულს აღვნიშნავ, რომ იმ თითოეულ თემაზე, რომელზეც ამ მიმართვაშია საუბარი, მთელი რიგი ნაშრომები შეიძლება დაიწეროს. თუ ამ პროგრამას გამოეხმაურებიან პირველ რიგში სპეციალისტები, საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლები, მოხარული ვიქნები, რათა საერთო ძალისხმევით ყველამ ერთად მოვიაზროთ ქართული ფეხბურთის მომავალი.

### ჰოლანდია

II დივიზიონი. XXXIV ტური

ვეენდამი 0:0 სიტარდი

კამბური 0:1 ემენი

დორდრეხტი 1:0 ვოლენდამი

ეინდჰოვენი 4:2 ჰელმონდი

მაასტრიხტი 2:2 ეძსელსიორი

სპარტა 0:0 ჰერაკლესი

ტელსტარი 0:2 აპელდორნი

ოსი 0:2 ჰაარლემი

ვენლო 1:0 იგლსი

### ინგლისი

1 ლიგა. პლეი ოფი. I მატჩი

ჰარტლპული 2:0 ტრანმერი

### გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XXXIV ტური

ზანკტ პაული 2:1 ბრაუნშვაიგი

სამხრეთ რეგიონალლიგა XXXII ტური

ელვერსბერგი 0:0 დარმშტადტი

ნოტინგენი 0:3 პფულენდორფი

### იტალია

სერია B. XXXVIII ტური

ვერონა 1:2 პერუჯა

### შვეიცარია

ჩელენჯლიგა გადადებული მატჩები

ვოლენი 1:2 კრინსი

ბულე 0:3 იუვენტუსი

ბადენი 2:2 შო დე ფონი

### ავსტრია

I დივიზიონი. XXXIII ტური

ალტახი 1:1 გრატკორნი

კაპფენბერგი 2:1 ლინცერი

რიდი 3:0 ლეობენი

უნტერზიბენბრუნი 1:1 ავსტრია (ლ)

ვიორგლი 1:0 კერნტენი

### საფრანგეთი

II დივიზიონი. XXXVI ტური

ამიენი 1:1 რეიმსი

ანჟე 1:0 ბრესტი

დიჟონი 3:0 შატორუ

გენგამი 2:0 გენიონი

ლავალი 1:3 მონპელიე

ლორიანი 2:0 გრენობლი

ნიორი 0:3 ლე მანი

### რუსეთი

თასის ნახევარფინალი პირველი მატჩი

ზენიტი 1:0 ცსკა

### ირლანდია

პრემიერლიგა IX ტური

უოტერფორდი 2:2 კორკ სიტი

ბოჰემიანსი 2:0 ლონგფორდი

ბრეი 0:1 დერი სიტი

დროჰედა 0:0 შელბურნი

სენტ პატრიკსი 1:1 შემროკი

### პოლონეთი

პირველი ლიგა XXVII ტური

პოლონია 2:3 კრაკოვია

ლეხი 2:1 გურნიკი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს XVI ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

მეორე ეტაპი

33 ტური ანონსი

# რაღა დროს 1990 წლის 30 მარტია

# SOS-ტური დინამოს მდევრებისთვის



ტურის მთავარი მატჩი: ჯერაც ჩემპიონი „ვიტ ჯორჯია“ წლეულს დაუმარცხებელ „ლოკომოტივს“ უმასპინძლებს

**რას, რას და, დაძაბულობას ნაღდად ვერ დაუკარგავს კაცი საქართველოს ჩემპიონატს. სხვათა შორის, ბოლო წლებში სულ ასეა, ბოლო ან ბოლოსწინა ტურში ირკვევა ჩემპიონი. ამჯერადაც ხშირი ტყესავით დაბურულია ცხრილის ზედა ნაწილი, მაგრამ ახლა „დინამოსაც“ ჰკითხეთ: კახა ცხადაძის ბიჭები საფინალსპურტო ბურღაობას სულაც არ აპირებენ, ოთხქულიანი ჰანდიკაპით ყოჩობენ და ყველაფერი მათ მარიფათზე ჰკიდია — ოთხ ტურში ცხრა ქულა და მე-12 ქართული ჩემპიონობა გარანტირებულია**

ამ ცხრილიდან სამს დინამოელები დღეს მოიმარაგებენ — ცალი ფეხით ქვედალიგელ „კოლხეთს“ მასპინძლობენ და 1990 წლის 30 მარტის გამეორების ილუზია ნურავის ექნება: იმ ისტორიულ თამაშში ფოთელებმა 1:0 მოიგეს, დღეს კი ასეთ გამარჯვებას სიზმარშიც ვერ ნახავენ. ზღვისპირელებს ფოთის პორტის მზრუნველი კალთა მოაკლდათ, ბოლოსწინა ადგილს მისჩერებიან და არგასავარდნ ზონამდე ხუთი ქულა აშორებთ.

„დინამომ“ კი ბოლო ორ თამაშში კინკილა ქულა აიღო და მდევრები მიიახლოვა. ცხადაძეს დისკვალიფიცირებული შოთა ბაბუნაშვილი არ ეყოლება, სამაგიეროდ, ლევან მელქაძე ეცდება სამმატჩიანი უგოლო სერიის ამოვსებას.

მგონი, ამ მატჩის ირგვლივ ბევრი ლაი-ლაი აღარაა საჭირო, ჰოდა, სხვებს მივხედოთ...

ლიცენზიასთან მიახლოებული „ტორპედო“ „ბათუმს“ ეშვებით უნდა ეკვეთოს და ისეთი იალღიში აღარ უნდა მოუვიდეს, როგორც წინა ტურში „დილასთან“. ხომ გახსოვთ, ნება-ნება მოსეირნე ქუთათურებმა 90-ე წუთზე გამთანაბრებელი გოლის გაშვება „მოახერხეს“ და მსაჯის დამატებულ წუთებზეღა შეაგდეს გამარჯვებისა. „ბათუმი“ კი „დილა“ არაა, თანაც აჭარელებმა ოთხი თვის ნანატრი ხელფას-პრემიები მიიღეს და კიდევ ერთი „SOS-ფაქტორი“ „ტორპედოსთვის“: ბათუმურ-ქუთაისური ბოლო შეხლა იმერეთში 1:1 დასრულდა. ამირან გოგიტიძეს ყველა ფეხბურთელი საღ-სალამათი ჰყავს, ოთარ გაბელია კი წინა ტურში გაძევებულ ალეკო კოშკაძეს მოისაკლისებს.

მესამეადგილოსანმა „თბილისმა“ ამ სეზონში სამჯერ მოუგო „სიონს“ და ახლა მეოთხე ცდაზე მიდის ბოლნისში. „თამაზ სტეფანიაზე“ ყველა სტუმარს ხვითქი გადასდის შუბლზე, ცალკე ქულებზე გავეშებული ფეხბურთელები გიტევენ, ცალკე „აღა და კომპანია“ გთრგუნავს და კლასის ხარჯზე თუ მოახერხებ სამი ქულის წამოღებას. „სიონს“ ვეტერანი კაპიტანი კახა სიდამონიძე ვერ დაეხმარება, რაც თბილისელ სანდრო იაშვილს მეორე სართულზე თარეშის შანსს გაუზრდის. ისე, ბოლო მატჩებში ლუის ცაკარიასის გუნდი რაღაცნაირად მოფამფალებულია, „დილას“ და „ბათუმს“ ძლივსძლივობით მოუგო და ჩვენი პროგნოზი თუ გნებავთ, „სიონი“ ამ თამაშს არ წააგებს. და თუ ბოლნისელებმა ერთის ნაცვლად სამი ქულა აიღეს, უმაღლეს ლიგაში თავი დაუგულებიათ და ეგ არის...

წვივების ჭახაჭუხი და, ალბათ, ტურის საინტერესო მატჩიც მცხეთაში იქნება. მასპინძელი „ვიტ ჯორჯია“ იმ „ლოკომოტივს“ დაუხვდება, რომელიც მეორე ეტაპზე ერთხელაც არ დამარცხებულა, სულ კი ჩემპიონატ-თასიანად ნოდარ აკობიას ბიჭებმა 18(!) წაუგებელ თამაშს უწიეს. თასი ჰაერზე არ გვისროლია: „ლოკომ“ ნახევარფინალის ორივე თამაშში წააქცია ვიტელები, არც ჩემპიონატში დაინდო და დღესაც ფავორიტია. ახლა იტყვით, ერთმა გუნდმა მეორეს მიჯრით ოთხივე თამაშში რომ აჯობოს, ათი თავით მაღლა უნდა იდგესო. ნუ იქნება, ბატონო, მაინცდამაინც ათი თავით, ერთი თავით არ ეყოფა?

...რკინიგზელთა წისქვილზე ისიც ასხამს წყალს, რომ მათ დაცვას ოთარ მარცვალაძის დევნა არ მოუწევს — „ვიტ ჯორჯიას“ მთავარმეგოლეს ყვითელი ბარათები დაუგროვდა და მცხეთაში ვერ იბურთავებს. ჯანი კარნევალის ოთარის დარი ფორვარდი არ მოეძევება, ხოლო ნოდარ აკობიას შეკრული დაცვა, მობზრიალე ნახევარდაცვა და ნიჭიერი ფორვარდები ჰყავს. ამას დაუმატეთ მოტივაცია: „ლოკო“ მეოთხე ადგილზეა და, ვინიცობაა, თასის ფინალი წააგოს, ევროტურნირებზე როგორღა გავიდეს?! „მიხეილ მესხის“ ბინადრები „ტორპედოსთან“ სამს, „თბილისთან“ კი ორ ქულას აგებენ.

ზემოთ ნათქვამი „ვინიცობაა“ „ზესტაფონისთვის“ აღარ არსებობს. ფეროელთა ქალაქი 26 მაისის მოლოდინით ცოცხლობს და წაგების გაფიქრებაც კი ზარავთ. ზესტაფონელები მეხუთე-მეექვსე საფეხურს ვერ წაუვლენ, ამიტომაც ჩემპიონატი არ აღარდებთ და ეგებ გორში სათადარიგო შემადგენლობაც ჩაიყვანონ. აი, ტურის ერთადერთი არაფრისმომცემი თამაშიც ესაა: „დილა“ — „ზესტაფონი“. უპატრონოდ დარჩენილი გორელები ძალისძალადღა გადიან მინდორზე და ერთი სული აქვთ, მათთვის დაწყევლილი სეზონი მალე ჩამთავრდეს.

**ილია ნანობაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 32 | 20 | 5 | 7 | 64:27 | 65 |
| ტორპედო | 32 | 17 | 10 | 5 | 51:27 | 61 |
| თბილისი | 32 | 18 | 6 | 8 | 52:35 | 60 |
| ლოკომოტივი | 32 | 15 | 13 | 4 | 39:19 | 58 |
| ზესტაფონი | 32 | 14 | 5 | 13 | 32:42 | 47 |
| ვიტ ჯორჯია | 32 | 12 | 9 | 11 | 49:35 | 45 |
| ბათუმი | 32 | 8 | 12 | 12 | 32:27 | 36 |
| სიონი | 32 | 10 | 4 | 18 | 30:52 | 34 |
| კოლხეთი | 32 | 8 | 5 | 19 | 26:51 | 29 |
| დილა | 32 | 2 | 3 | 27 | 17:77 | 9 |

ბოლნისი. 14 მაისი. 17 საათი. თამაზ სტეფანია

## სიონი — თბილისი

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ზ. ჯვარიძე (თბილისი), გ. ცირდავა (გულრიფში); მ. მაისურაძე (თბილისი); ინსპექტორი: ე. სილაგავა

ბათუმი. 14 მაისი. 17 საათი. დინამო

## ბათუმი — ტორპედო

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); ინსპექტორი: ს. კვარაცხელია

გორი. 14 მაისი. 17 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

## დილა — ზესტაფონი

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ა. სამხარაძე (სოხუმი), კ. გაბრიაძე; გ. კიკაჩეიშვილი (ორივე ქუთაისი); ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი

თბილისი. 14 მაისი. 17 საათი. ეროვნული

## დინამო — კოლხეთი

მსაჯები: ლ. სილაგავა (თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), მ. ურუშაძე; ა. შილაკაძე (ორივე თბილისი); ინსპექტორი: ს. კუტივაძე

მცხეთა. 14 მაისი. 17 საათი. არმაზი

## ვიტ ჯორჯია — ლოკომოტივი

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ა. მეშკოვი (თბილისი); ინსპექტორი: ს. კოტრიკაძე



„სიონი“ — „თბილისის“ შეხლა ბევრ რამეს გაარკვევს



## გადამწყვეტია დრეზდენი

### სირაძეს ტრირში დარჩენას და გუნდის გამოცვლას სთავაზობენ

კვირას, 15 მაისს, მეორე ბუნდესლიგის ბოლოსწინა ტურში დავით სირაძის „ტრირი“ „დრეზდენს“ მასპინძლობს და ამ თამაშის შემდეგ ბევრი რამ გადაწყდება.

სირაძისთვის სეზონი უიღბლოდ დაიწყო — შეკრებაზე კოჭის ტრავმა მიიღო, მერე გაუმიზეზდა და თითქმის მთელი პირველი წრე აწუხებდა. სეზონის მეორე ეტაპზე დათო მომჯობინდა, მაგრამ „ტრირის“ მწვრთნელი პაულ ლინცი ბოლო თამაშებში მას მაინცდამაინც არ ენდობოდა. სირაძემ ამ სეზონში 18-ჯერ ითამაშა და ერთი გოლი გაიტანა, თუმცა ლინცი სირაძეს მეტწილად შეცვლებზე ათამაშებდა.

„ტრირს“ საქმე ცუდად წაუვიდა, მეორე ბუნდესლიგიდან გავარდნის კანდიდატი შეიქნა, მაგრამ წინა ტურში უკვე ბუნდესლიგაში გადასულ „კიოლნს“ სტუმრად 2:1 მოუგო და ახლა მე-13 ადგილზეა 18-გუნდიან ლიგაში, საიდანაც ბოლო ოთხივარდება.

„გასავარდნ ზონას ხუთი ქულით ვუსწრებთ და კვირას „დრეზდენს“ თუ მოვუგებთ, მეორე ბუნდესლიგაში დარჩენას გავინაღდებთ, შესაძლოა, საამისოდ ფრეც გვეყოს. „ტრირთან“ კონტრაქტი ამ სეზონის დამთავრებისთანავე მიმთავრდება და უკვე შემომთავაზეს მისი კიდევ ერთი წლით გახანგრძლივება. ჩემმა აგენტმა უდო შრიოდერმა კი მითხრა, შენით მეორე ბუნდესლიგის კიდევ ორი გუნდია დაინტერესებულიო. გადაწყვეტილებას მალე მივიღებ, ყველაფერი „დრეზდენთან“ მატჩის შემდეგ გაირკვევა — გვითხრა სირაძემ, ვისაც ფრაიბურგელი ალექსანდრე იაშვილის სამომავლო ტრანსფერზეც დავეკითხეთ — გერმანულ პრესაში, თუ არ ვცდები, „კიკერში“, დაიწერა, რომ იაშვილით „დორტმუნდია“ დაინტერესებული“.

**დავით თაგართქილაძე**

# ნუდნი ჭირს არ მალავს

## ზესტაფონი მაგარია, მარტოობა კი ლახვარია

საქართველოში არც ცხოვრება ჩუხჩუხებს და არც საფეხბურთო ჩემპიონატი მოგწყვეტს თვალს. შესაბამისად, არც ლეგიონერებით ვართ მდიდრები. მიმდინარე სეზონში მოთამაშე კანტიკუნტი უცხოელებიდან უდავოდ გამორჩეულია „ზესტაფონის“ ნახევარმცველი სერგეი ნუდნი. 24 წლის მოლდოველი სისტემატურად ვერ ხვდება ფეროელთა ძირითადში, თუმცა თემურ მახარაძის გუნდი უმისოდ თითქმის წარმოუდგენელია. დაუღლელი ნუდნი ჯარასავით ტრიალებს მინდვრის ცენტრში, ართმევაზეც კარგია და შემქმნელადაც ვარგობს, ეგაა, შედეგიანობაში მოიკოჭლებს. ბევრ ლაპარაკს სჯობს, „ზესტაფონის“ ქომაგთა საყვარელ ფეხბურთელს მოვუსმინოთ. სერგეი პირდაპირი კაცია და პრობლემებზე საუბარსაც არ ერიდება. თავიდან კი ტრავმაზე შევეკითხეთ, რომელიც მან ვარჯიშზე მიიღო...



სერგეი ნუდნი (მარჯვნივ) ზესტაფონელი ქომაგების საყვარელი ფეხბურთელია

— საშიში არაფერია, დაახლოებით ერთ კვირაში კარგად ვიქნები და, რაც მთავარია, 26 მაისს „ლოკომოტივთან“ თასის ფინალში ვითამაშებ.

**— „ლოკომოტივი“ ერთადერთი გუნდია, რომელსაც წლეულს ვერ მოუგეთ, არადა, 26-ში თუ ვერ იმარჯვეთ, უეფას თასზე ვერ გახვალთ.**

— იმედი მაქვს, რომ მოვიგებთ, საკუთარი ძალების გვჯერა. „ზესტფონმა“ პირველი ეტაპი ცუდად ჩაატარა: ამდენი თამაშის წაგება რომ არა, ჩემპიონატშიც უფრო მაღალი მიზნები გვექნებოდა. ისე, „ლოკომოტივი“ ძლიერია და ვიცი, ძნელი თამაში გველის.

**— „ზესტაფონში“ თითქმის ყველა მატჩზე სტადიონი ივსება, ალბათ, გრძნობ, რომ გულშემატკივრებს ძალიან უყვარხარ.**

— ამას ვგრძნობ და მეც ვცდილობ, ჩემი თამაშით მადლობა გადავუხადო მათ. სხვანაირად წარმოუდგენელია, ამდენი ხალხი მოდის სტადიონზე და უგულოდ როგორ გახვალ მინდორზე?! „ზესტაფონს“ კარგი ფანები ჰყავს და სხვა ქალაქებშიც რომ ასე ივსებოდეს სტადიონები, უკეთესი იქნებოდა. თვითონ გუნდიც მეგობრული გვყავს, თანაგუნდელებიდან ვერავის გამოვარჩევ — ყველა მიყვარს.

**— მიუხედავად ამისა, ერთადერთი ლეგიონერი ხარ გუნდში და სიმარტოვეს არ გრძნობ?**

— მეუღლე ხშირად ვერ ჩამოდის. ზესტაფონში საცხოვრებლად ცუდი პირობებია და უცხოელი აქ თავს შინაურულად ვერ იგრძნობს. მოკლედ, ამ მხრივ მიჭირს.

**— სეზონის ბოლოს წასვლას ხომ არ აპირებ?**

— არ ვიცი, ამას ჯერ ვერ გეტყვით. „ზესტაფონის“ ხელმძღვანელობას დიდი გეგმები აქვს, სასტუმროს აშენებენ და პირობები გაუსაძლისი აღარ უნდა იყოს. იმედია, წასვლის სურვილი არ მექნება.

**— პირობები გასაგებია, მაგრამ საფეხბურთო დონეზეც ვთქვათ. ამ მხრივ მოლდოვისა და საქართველოს ჩემპიონატებს როგორ შეადარებდი?**

— ქართველი ფეხბურთელები ინდივიდუალურად ყოველთვის ძლიერები იყვნენ და ახლაც ასეა. აქ ბურთის ტარება უყვართ, მოლდოვაში კი უფრო კომბინაციურად თამაშობენ. თანაც ჩემს სამშობლოში უკეთესი მინდვრებია და პასის გაკეთება არ ჭირს. რაც შეეხება თამაშის დონეს, ამ მხრივ დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ, თუმცა შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქართული კლუბები ევროტურნირზე შედარებით უკეთ გამოდიან. თქვენი ნაკრებიც მოლდოვისაზე მაღლა დგას ფიფა-კოკა კოლას რეიტინგში.

**— საქართველოში საუკეთესო კლუბად რომელს თვლი?**

— ხელაღებით რომ თქვა, საჩემპიონო გუნდიაო, ასეთი არ ჩანს. ისე კი, თბილისის „დინამოსა“ და „ლოკომოტივს“ გამოვარჩევ. ფეხბურთელებს კი ნაღდად ვერ გამოვყოფ — როგორც ლეგიონერი, შესაძლოა, კომპეტენტური ვერა ვარ, ამიტომაც არ მინდა, ვინმეს ვაწყენინო. „ზესტაფონშიც“ არის ორი-სამი ფეხბურთელი, რომლებიც მაღალ დონეზე თამაშობენ.

**ილია ნანობაშვილი**


## თქვენი ინტერვიუ ალენ ჟირესთან

*თქვენი კითხვების მორიგი ადრესატი საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალენ ჟირესი გახლავთ. მუსიე ჟირესი, მოგეხსენებათ, ფრანგია, მაშასადამე, ევროპელი და, ალბათ, „ჩამჭრელ“ და „მკვლელ“ კითხვებს მისთვის არ დაინანებთ. ჟირესი და „სარბიელი“ თქვენს კითხვებს 25 მაისამდე დაელოდებიან, ხოლო „თქვენ ინტერვიუს“ ჟირესთან 1 ივნისამდე იხილავთ.*

მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net




# მანჩესტერი გაიყიდა!

*ამერიკელმა მილიარდერმა მალკოლმ გლეიზერმა მიიღო ის, რაც უნდოდა —„მანჩესტერ იუნაიტედის“ საკონტროლო პაკეტი.*

*მან მიიტანა 1 მილიარდ 47 მილიონი დოლარის ინვესტიცია და შეიძინა კლუბის მთავარმეწილეების, ჯონ მანიესა და ჯეი პი მაკმანუსის აქციები — სულ 28,7 პროცენტის ტევადობისა.*

*ახლა ამერიკელს „მანჩესტერის“ აქციების 70 პროცენტზე მეტი აქვს, თუმც საკონტროლო პაკეტისთვის 30-იც ჰყოფნიდა.*

*რა თქმა უნდა, ირლანდიელ მილიარდერთაგან თავიანთი აქციების გაყიდვა ფანებმა ცუდად მიიღეს — გლეიზერის წინადადებას ვადა 17 მაისს გადიოდა*

**ახლა** ამერიკელს სურს, რომ კლუბის აქციების დარჩენილი პროცენტებიც მოიგდოს ხელთ, თუ 90 პროცენტს პლუს ერთ აქციას მოაგროვებს, ეს კიდევ უფრო გაუხსნის ხელებს. ამგვარი რამ მოსალოდნელიცაა, რადგან „მანჩესტერის“ სხვა მეწილემ, სქოთმა მილიარდერმა ჰარი დობსონმა, ირლანდიელთა წილის გაყიდვა გაიგო თუ არა, სასწრაფოდ მიჰყიდა თავისი 6,45 პროცენტი გლეიზერს.

ეს გრანდიოზული ცვლილებები კლუბისთვის ასევე გრანდიოზულ ცვლილებებს მოასწავებს, რც ეგებ სერ ალექს ფერგიუსონის 18-წლიან ბატონობასაც შეეხოს — აწ უკვე ყოფილი პატრონები, მანიე და მაკმანუსი ცუდად იყვნენ ფერგისთან მას შემდეგ, რაც ცხენ „გიბრალტარის კლდის“ გამო მოუხდათ დავა მენეჯერთან. ფერგიუსონი სძულს „სელტიკის“ მთავარმეწილე დერმოტ დესმონდსაც, რომელიც ნახსენები წყვილის მეგობარია და დიდად შეუგულიანებია მანიე და მაკმანუსი, წილი გაყიდეთო.



ხომ ავისრულე: ქომაგთა პროტესტის მიუხედავად, მალკოლმ გლეიზერი „მანჩესტერ იუნაიტედს“ მაინც დაეპატრონა

თუმცა, იმასაც ამბობენ, რომ ფერგის ახალ, ხუთწლიან კონტრაქტს შესთავაზებენ და 100 მილიონსაც ზემოდან დაუდებენ საყიდლებისთვის. თანამდებობას შეინარჩუნებს პასუხისმგებელი შეფი დევიდ გილიც.

ფანების თავმჯდომარემ, ნიკ ტოულმა კი თქვა: „სევდიანი ვარ — კვლავაც მიყვარს ჩემი კლუბი, ოღონდ ბილეთს აღარ ვიყიდი. ვფიქრობ, 20 ათასი ჩემნაირი მიატოვებს ოლდ ტრეფორდს“.

„ოლდ ტრეფორდზე“ წუხელ მიტინგი იყო: ნაცნობი სლოგანით „არ იყიდება!“ ოღონდაც კლუბი უკვე გაიყიდა. მჯდომარე აქციაც კი გაიმართა.

ფლორიდიდან კი, სადაც გლეიზერი მეფობს, ამბავი მოდის, რომ მალკოლმ გლეიზერი იქაური საბურთაო კლუბის, „ტამპა ბეი ბუკანიერზის“ გაყიდვას აპირებს, თუმცა მისი ვაჟები სთხოვენ, რომ ასე არ ქნას.

**ირაკლი გამყრელიძე**




## ფინეთი

### ვეიკაუსლიგა. III ტური

ტურკუ — ტპ 47 1:0; ინტერი — მარიეჰამნი 4:0; ლაჰტი — როვანიემი 4:1; იარო — ალიანსი 1:1; ჰაკა — მიუპა 1:0; კტპ — ტამპერე 3:0; კუოპიო — ჰიკ 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰიკ | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| ჰაკა | 3 | 2 | 1 | 0 | 2:0 | 7 |
| ტამპერე | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 6 |
| კტპ | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ინტერი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:1 | 5 |
| მიუპა | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 4 |
| ტურკუ | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 4 |
| მარიეჰამნი | 3 | 1 | 1 | 1 | 1:4 | 4 |
| ტპ 47 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:3 | 3 |
| ალიანსი | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 3 |
| კუოპიო | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| ლაჰტი | 3 | 1 | 0 | 2 | 6:8 | 3 |
| როვანიემი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | 1 |
| იარო | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |

Copa Toyota Libertadores '2005

## ლიბერტადორესის თასი 2005

### IV ჯგუფი. V ტური

**პალმეირასი (ბრაზილია) 0:0 სერო პორტენო (პარაგვაი)**

**სანტო ანდრე (ბრაზილია) 6:0 დეპორტივო ტაჩირა (ვენესუელა)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერო პორტენო | 5 | 3 | 2 | 0 | 10:4 | 11 |
| პალმეირასი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:5 | 8 |
| სანტო ანდრე | 5 | 1 | 2 | 2 | 5:6 | 5 |
| დეპორტივო ტაჩირა | 5 | 1 | 0 | 4 | 3:11 | 3 |

რეკლამა
სარბიელ—ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

## ფეხბურთის რუკასთან



**იტალიური** „პარმა“ დანიელე ბონერას გაყიდვასაც აპირებს. „მას სიამოვნებით შევინარჩუნებდი, მაგრამ ადრე თუ გვიან, დანიელე მაინც გადავა დიდ გუნდში. მზად ვართ, მის შესახებაც განვიხილოთ წინადადებები. ვიცი, რომ ბონერას შეძენა „იუვენტუსს“ და „მილანს“ უნდოდათ“ — თქვა „პარმას“ ადმინისტრატორმა ლუკა ბარალდიმ.

**ფრანგ** მეკარეს, ფაბიენ ბარტეზს დისკვალიფიკაციის ვადა დეკემბრამდე გაუგრძელეს. „ეს საქმე ხელახლა განვიხილეთ და გადავწყვიტეთ, ბარტეზი წლის ბოლომდე დავსაჯოთ“ — ნათქვამია საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ კომუნიკეში. შეგახსენებთ, რომ მაროკოელი მსაჯის შეფურთხებისთვის დასჯილი ბარტეზი 2006 წელს კარიერის დასრულებას აპირებს.

**ნიგერიელი** ნახევარმცველი ჯონ ობი მიკელი ამბობს, რომ „ჩელსიში“ თამაში უნდა. არადა, კონტრაქტი „მანჩესტერთან“ გააფორმა. აფრიკელის თქმით, მან შეთანხმებას ხელი ზეწოლის გამო მოაწერა, რომელსაც მისი ყოფილი კლუბი, ნორვეგიული „ლინი“ ახორციელებდა. „წითელი ეშმაკების“ ხელმძღვანელობა ვითარებაში გარკვევას ითხოვს.

**ჩეხეთის** ნაკრებისა და „უდინეზეს“ ნახევარმცველი მარეკ იანკულოვსკი იტალიის თასზე, „რომასთან“ მატჩში დაშავდა. ექიმების თქმით, იგი დაახლოებით სამი თვე ველარ ითამაშებს. ამ ტრავმამ, ეგებ მის „მილანში“ გადასვლასაც შეუშალოს ხელი.

**ინგლისური** „პორტსმუთის“ კარს მომავალ სეზონში საკუთარი ღოდ, ულრიხ რამე დაიცავს. ფრანგული „ბორდოს“ 33 წლის მეკარემ და ლონდონური კლუბის უფროსობამ თითქმის ყველა დეტალი შეათანხმეს და წესით, ტრანსფერს ხელს ველარაფერი შეუშლის.

**იტალიური** „ინტერის“ ნახევარმცველმა ანდი ვან დერ მეიდემ უარყო ინფორმაცია, თითქოს იგი კლუბის გამოცვლას აპირებს. „ჭორები იმის შესახებ, რო მე ინგლისში გადასვლაზე ვფიქრობ, უსაფუძვლოა. აქ თავს კარგად ვგრძნობ და წასვლას არ ვაპირებ“ — თქვა ჰოლანდიელმა.

**გერმანული** „კაიზერსლაუტერნის“ ახალი თავკაცი იქნება მაიერფელდის ყოფილი თანაშემწე მიხაელ ჰენკე. მან კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და თუ კარგ შედეგებს აჩვენებს, მხარეები უფრო ხანგრძლივ შეთანხმებას მოაწერენ ხელს.

**ესპანური** „რეალის“ მწვრთნელი ვანდერლეი ლუშემბურგო კრისტიანო რონალდოთი და ხოაკინით დაინტერესდა. „ეს ფეხბურთელები ძალიან მომწონს და ვთვლი, რომ თავიანთ კლუბებში მათ ბოლომდე ვერ იყენებენ“ — აღნიშნა ბრაზილიელმა სპეციალისტმა.

**ინგლისური** „ლივერპულის“ ჩეხი ნახევარმცველი ვლადიმირ შმიცერი კვლავ ახალი კლუბის ძიებაშია. ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ 31 წლის ფეხბურთელი სეზონის ბოლოს მერსისაიდელთა რიგებს დატოვებს. ამჟამად შმიცერი თავის ყოფილ კლუბ „ბორდოს“ წინადადებას განიხილავს.

**იტალიური** „უდინეზე“ მომავალ ზაფხულს ყოზე ვიდიგალს დაიმატებს. 32 წლის პორტუგალიელს „ლივორნოსთან“ კონტრაქტი სეზონის ბოლოს ეწურება და თავისუფალი აგენტი ხდება. იგი უდინეში მომავალ სამ წელიწადს გაატარებს.

**ფრანგული** „მარსელი“ „ჩელსის“ ფორვარდ მატეა კეჟმანის ყიდვას აპირებს. „სტად ველოდრომის“ ბინადრებმა უკვე დაიწყეს მოლაპარაკება ინგლისელებთან. გარდა ამისა, მათ „ლანსის“ გოლკიპერ შარლ იტანჟეს შეძენაც უნდათ, რომელმაც დისკვალიფიცირებული ფაბიენ ბარტეზი უნდა შეცვალოს.

**ესპანური** „ვალენსია“ სეზონის ბოლოს სტეფანო ფიორეს გაყიდის. „ვფიქრობ, ეს საუკეთესო გამოსავალი იქნება. სტეფანოს აქ ბევრი პრობლემა აქვს და კლუბის გამოცვლა უნდა. ასე რომ, შემოთავაზებებს ველოდებით“ — აღნიშნა იტალიელის აგენტმა ფედერიკო პასტორელომ.

**ინგლისური** „უიგანი“, რომელიც უკვე პრემიერლიგაშია, მომავალი სეზონისთვის შემადგენლობის გაძლიერებას აპირებს. ელიტარულ ლიგაში პირველად აღზევებულ კლუბს „ევერტონის“ ვეტერანების — ალან სტაბსისა და სტივ უოტსონის შეძენა უნდა.

**ჰოლანდიის** ნაკრებისა და „აიაქსის“ ნახევარმცველ რაფაელ ვან დერ ვაარტის აგენტმა აღნიშნა, რომ ამჟამად მოლაპარაკება იტალიურ „რომასთან“ მიმდინარეობს. ვან დერ ვაარტით ასევე „ჰამბურგი“, „ლივერპული“, „არსენალი“ და „იუვენტუსი“ არიან დაინტერესებულნი.

**იტალიური** „მილანის“ მწვრთნელი კარლო ანჩელოტი და უკრაინელი თავდამსხმელი ანდრეი შევჩენკო დამფუძნებლები არიან საკუთარი მაღაზიის, რომელიც მილანის ელიტარულ უბანშია წარმოდგენილი და Lotto ჰქვია. ბუნებრივია, ანჩელოტი და შევჩენკო მეპატრონეები ერთდროულად იქნებიან და Lotto-ში მსურველებს სპორტული ნაწარმის გარდა, სუვენირებისა და არაერთი საყოფაცხოვრებო ნივთის შეძენა შეეძლებათ. მაღაზიის ფასადს სახელისა და ლოგოს გარდა, შევჩენკოსა და ანჩელოტის ფოტოებიც ამშვენებს.

| XXXVI ტური | | |
|---|---|---|
| ხვალ | | |
| ფიორენტინა | : | ატალანტა |
| ბოლონია | : | ბრეშა |
| მესინა | : | კალიარი |
| სიენა | : | კიევო |
| რომა | : | ლაციო |
| ინტერი | : | ლივორნო |
| ლეჩე | : | მილანი |
| იუვენტუსი | : | პარმა |
| პალერმო | : | რეჯინა |
| უდინეზე | : | სამპდორია |

| სადღეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 35 | 24 | 7 | 4 | 59:23 | 79 |
| მილანი | 35 | 23 | 7 | 5 | 57:22 | 76 |
| ინტერი | 35 | 16 | 17 | 2 | 63:37 | 65 |
| უდინეზე | 35 | 17 | 8 | 10 | 53:37 | 59 |
| სამპდორია | 35 | 17 | 8 | 10 | 41:27 | 59 |
| პალერმო | 35 | 12 | 14 | 9 | 41:37 | 50 |
| მესინა | 35 | 11 | 11 | 13 | 40:48 | 44 |
| კალიარი | 35 | 10 | 13 | 12 | 47:53 | 43 |
| ლივორნო | 35 | 11 | 10 | 14 | 46:56 | 43 |
| ბოლონია | 35 | 9 | 14 | 12 | 32:33 | 41 |
| ლაციო | 35 | 11 | 8 | 16 | 44:49 | 41 |
| ლეჩე | 35 | 10 | 11 | 14 | 59:66 | 41 |
| რეჯინა | 35 | 10 | 11 | 14 | 33:42 | 41 |
| რომა | 35 | 10 | 10 | 15 | 54:58 | 40 |
| პარმა | 35 | 10 | 10 | 15 | 45:60 | 40 |
| სიენა | 35 | 8 | 15 | 12 | 42:53 | 39 |
| ფიორენტინა | 35 | 8 | 13 | 14 | 38:49 | 37 |
| კიევო | 35 | 9 | 9 | 17 | 30:49 | 36 |
| ბრეშა | 35 | 9 | 8 | 18 | 33:49 | 35 |
| ატალანტა | 35 | 8 | 10 | 17 | 33:42 | 34 |

# იტალია

პაპუნა კედია

## პროზა ცხრილის სათავეში, მისტიკა რომში



ჯანლუკა კურჩისთვის ხვალინდელი მატჩი ძალიან მნიშვნელოვანია, „რომას" მეკარე რომაულ დერბის პირველად დაიგემოვნებს

**„იუვენტუსმა"** წინა ტურში „მილანი" დაამარცხა და ჩემპიონატის მიწურულს ცხრილში ერთპიროვნული ლიდერის პოზიციაზე გადავიდა. შესაბამისად, ხვალ, საქართველოს დროით საღამოს 5 საათზე, ტურინელები „პარმას" საგანგებო მოწადინებითა და სიფრთხილით უმასპინძლებენ — დარჩენილ სამ თამაშში მათ ხელთ არსებული სამქულიანი უპირატესობის დაკარგვა ხომ დანაშაული იქნება.

თამაში გარკვეული, სალაღობო გაგებით სატრანსფეროა. კერძოდ, „პარმაშია" და „ბებერი ქალბატონის" კარს სავარაუდოდ, ძალიან სახიფათოდ შეუტევს ალბერტო ჯილარდინო, რომელზედაც ერთ-ერთ ვერსიად იმას ამბობენ, რომ დაახლოებით ერთი თვის შემდეგ „იუვენტუსის" ფეხბურთელი გახდება. ამასთან, მისი სახიფათო შეტევებისგან თავი ყოფილმა პარმელებმა, მეკარე ჯანლუიჯი ბუფონმა და მცველებმა, ფაბიო კანავარომ და ლილიან ტურამმა უნდა დაიცვან. თავისი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ შესაძლოა, აგრეთვე ითამაშონ პარმაგამოვლილებმა, მანუელე ბლაზიმ და სტეფან აპიამ.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ტურინელთა შემადგენლობას უბრუნდება დისკვალიფიკაციამოხდილი ზლატან იბრაჰიმოვიჩი, რომელმაც არ არის გამორიცხული, „მილანთან" თამაშში გატანილი ერთადერთი გოლის ავტორი დავიდ ტრეზეგე შეცვალოს.

„მილანს" კი, თუ ზემოხსენებული სამქულიანი ჩამორჩენის გაბათილება [illegible]ურს, ბედი ლეჩეში უნდა სცადოს. [illegible] როგორც იტალიელი მიმომხილველები ვარაუდობენ, ზდენეკ ზემანის მიერ საშინაო მატჩებში კარგად გაწვრთნილ გუნდთან ჩემპიონთა ლიგის ფინალისტებს იოლი გასეირნება არ უნდა ჰქონდეთ. ლეჩელთა საუკეთესო ნახევარმცველი სამუელე დალა ბონა კი გუნდური ინტერესის გარდა, პირად შურისძიებასაც სცდის — იგი დარწმუნებულია, რომ „მილანში" ყოფნისას „შავ-წითლებმა" მას დაუმსახურებლად არ მისცეს თავისი ნიჭიერების დამტკიცების საშუალება.

„მილანში" დაღლილობის მიზეზით სავარაუდოდ, არ ითამაშებენ კლარენს ზეედორფი და ჯენარო გატუზო, რომელთაც ნაცვლად კარლო ანჩელოტი მასიმო ამბროზინისა და მანუელ რუი კოშტას გაიყვანს მოედანზე. თავდასხმაში შესაძლოა, დაისვენოს ანდრეი შევჩენკომ, რომლის არყოფნაში ლეჩელთა კარს სავარაუდოდ, კრესპო-ინძაგის წყვილი შეუტევს. ფილიპო ინძაგი რომ ითამაშებს, სხვა სიტყვებით იმას ნიშნავს, რომ ამ ფორვარდმა ტრავმა საბოლოოდ მოიშუშა და კიდევ ერთხელ სცდის ფეხბურთში დაბრუნებას.

და, რა თქმა უნდა, „რომა" — „ლაციო". მერე რა, რომ ამჯერად რომაული დერბი ცხრილის სათავეში მოსახვედრად კი არა, სერია A-ში დასარჩენად მებრძოლთა დაპირისპირებაა. ამას მნიშვნელობა არ აქვს, ვინაიდან ამ ორი გუნდის მატჩი აუცილებლად ქიშპი და ინტრიგაა. თან, დახეთ მისტიკას, „ლაციო" და „რომა" ერთიმეორის მიყოლებით გახდნენ იტალიის ჩემპიონები და ახლაც ერთად არიან ცხრილის სახიფათო ზონაში.

რომაელთა სამწუხაროდ, ამ შეხვედრაში ვერ ითამაშებს ფრანჩესკო ტოტი, რომელიც, მოგეხსენებათ, დისკვალიფიცირებულია, ხოლო კარს, დერბის ისტორიაში პირველად დაიცავს ყმაწვილი ჯანლუკა კურჩი.

| XXXVIII ტური | | |
|---|---|---|
| ხვალ | | |
| ბირმინგემი | : | არსენალი |
| ვესტ ბრომვიჩი | : | პორტსმუთი |
| ბოლტონი | : | ევერტონი |
| ჩარლტონი | : | კრ. პალასი |
| ფულემი | : | ნორვიჩი |
| ლივერპული | : | ასტონ ვილა |
| სიტი | : | მიდლსბრო |
| ნიუკასლი | : | ჩელსი |
| საუთჰემპტონი | : | მანჩესტერი |
| ტოტენჰემი | : | ბლექბერნი |

| სადღეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 37 | 29 | 7 | 1 | 71:14 | 94 |
| არსენალი | 37 | 25 | 8 | 4 | 86:34 | 83 |
| მანჩესტერი | 37 | 21 | 11 | 5 | 56:25 | 74 |
| ევერტონი | 37 | 18 | 7 | 12 | 43:43 | 61 |
| ლივერპული | 37 | 16 | 7 | 14 | 50:40 | 55 |
| ბოლტონი | 37 | 15 | 10 | 12 | 46:42 | 55 |
| მიდლსბრო | 37 | 14 | 12 | 11 | 52:45 | 54 |
| სიტი | 37 | 13 | 12 | 12 | 46:38 | 51 |
| ტოტენჰემი | 37 | 14 | 9 | 14 | 47:41 | 51 |
| ასტონ ვილა | 37 | 12 | 11 | 14 | 44:50 | 47 |
| ჩარლტონი | 37 | 12 | 9 | 16 | 40:56 | 45 |
| ნიუკასლი | 37 | 10 | 13 | 14 | 46:56 | 43 |
| ბირმინგემი | 37 | 10 | 12 | 15 | 38:45 | 42 |
| ბლექბერნი | 37 | 9 | 14 | 14 | 32:43 | 41 |
| ფულემი | 37 | 11 | 8 | 18 | 46:60 | 41 |
| პორტსმუთი | 37 | 10 | 9 | 18 | 43:57 | 39 |
| ნორვიჩი | 37 | 7 | 12 | 18 | 42:71 | 33 |
| საუთჰემპტონი | 37 | 6 | 14 | 17 | 44:64 | 32 |
| კრ. პალასი | 37 | 7 | 11 | 19 | 39:60 | 32 |
| ვესტ ბრომვიჩი | 37 | 5 | 16 | 16 | 34:61 | 31 |

# ინგლისი

ვაჟა ხუციშვილი

## ქვემოთ დიდი ამბავია



ჰარი რედნაპი: ოჰ, ერთი დამტოვა პრემიერლიგაში?!

**ბოლო** ტურის წინ ცხრილის თავში ყველაფერი გარკვეულია, ბოლოში კი დიდი გაწამაწიაა. ელიტიდან შესაძლოა, „საუთჰემპტონი" გავარდეს, რომელიც 27 წელია, პრემიერლიგის ბინადარია. „წმინდანებს" „მანჩესტერ იუნაიტედთან" მატჩი ელით და უძლიერესთა შორის დარჩენა თუ სურთ, აუცილებლად უნდა მოიგონ. „საუთჰემპტონისთვის" მანჩესტერელთა დამარცხება უცხო ხილი არაა, თუმც ბოლო შვიდი სეზონის მანძილზე ეს მხოლოდ სამჯერ მოახერხეს.

მასპინძლებს მეგოლე პიტერ კრუჩი დააკლდებათ, რომელიც მატჩს დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვებს. „ვფიქრობ, ჩემს გუნდს მოგება ძალუძს — განაცხადა „საუთჰემპტონის" მწვრთნელმა ჰარი რედნაპმა — ჩვენ „მანჩესტერ იუნაიტედს" ვძლევთ და თან ვიმედოვნებ, „ნორვიჩი" „ფულემთან" სტუმრად დამარცხდება".

ნორვიჩელები, ცხადია, სხვანაირად ფიქრობენ. მათ ლონდონში „ფულემთან" გამარჯვება სჭირდებათ საიმისოდ, რომ პრემიერლიგაში ადგილი გაინაღდონ, თუმც ფრეც ეყოფათ იმ შემთხვევაში, თუ „საუთჰემპტონი" ან „კრისტალ პალასი" მხოლოდ ქულას აიღებენ, „ვესტ ბრომვიჩი" კი ვერ მოიგებს.

თავის მხრივ, უიმედოდ არაა „კრისტალ პალასიც", რომელიც „ჩარლტონს" სტუმრობს. ჩარლტონელებმა ბოლო ცამეტ ტურში მხოლოდ ერთი შეხვედრა მოიგეს და ფორმაში არ არიან.

„ვესტ ბრომვიჩს" კი კონკურენტებთან ის უპირატესობა აქვს, რომ „პორტსმუთს" შინ ხვდება და საკუთარი ფანების თანხლებით გამარჯვების მეტი შანსი აქვს.

„მიდლსბროსთვის" „მანჩესტერ სიტისთან" მატჩი მნიშვნელოვანია, რადგან მეექვსე ადგილზე გადასვლა და უეფას თასის საგზურის მოპოვება შეუძლია. გულხელდაკრეფილი არც „ბოლტონი" იქნება, რომელიც „არსენალისგან" 7:0 განადგურებულ „ევერტონს" მასპინძლობს. ბოლტონელები მეექვსე საფეხურის დათმობას არ აპირებენ, მით უმეტეს, რომ პრემიერლიგაში ასე მაღლა არასდროს ასულან. მათი საუკეთესო შედეგი აქამდე მერვე ადგილი იყო.

ჩემპიონთა თასის ფინალისტი „ლივერპული" ბირმინგემის „ასტონ ვილას" ლაუხვდება. რაფაელ ბენიტესის გუნდმა თუ ვერ მოიგო, ხოლო „მიდლსბრომ" და „ბოლტონმა" სამ-სამი ქულა აიღეს, მაშინ „ლივერპული" უეფას თასის საგზურს დაემშვიდობება.

ლონდონის „ტოტენჰემისა" და „ბლექბერნის" მატჩი ცხრილში ბევრს ვერაფერს შეცვლის, ხოლო „ნიუკასლი" ქომაგებს ჩემპიონი „ჩელსის" დამარცხებით თუ გაახარებს, რომელმაც ამ სეზონში მხოლოდ ერთი შეხვედრა წააგო.

| XXXIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| მაინცი | : | ლაუტერნი |
| ვერდერი | : | ფრაიბურგი |
| შალკე | : | დორტმუნდი |
| ჰანზა | : | არმინია |
| ვოლფსბურგი | : | ლევერკუზენი |
| გლადბახი | : | ჰერტა |
| ჰანოვერი | : | ჰამბურგი |
| ბოხუმი | : | შტუტგარტი |
| ბაიერნი | : | ნიურნბერგი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 32 | 22 | 5 | 5 | 66:29 | 71 |
| შალკე | 32 | 19 | 3 | 10 | 52:42 | 60 |
| შტუტგარტი | 32 | 17 | 7 | 8 | 53:35 | 58 |
| ჰერტა | 32 | 15 | 11 | 6 | 59:31 | 56 |
| ვერდერი | 32 | 16 | 5 | 11 | 62:35 | 53 |
| ლევერკუზენი | 32 | 15 | 8 | 9 | 58:41 | 53 |
| ჰამბურგი | 32 | 16 | 3 | 13 | 54:47 | 51 |
| დორტმუნდი | 32 | 13 | 10 | 9 | 43:42 | 49 |
| ვოლფსბურგი | 32 | 14 | 2 | 16 | 45:48 | 44 |
| ლაუტერნი | 32 | 12 | 6 | 14 | 40:47 | 42 |
| ჰანოვერი | 32 | 12 | 5 | 15 | 32:35 | 41 |
| არმინია | 32 | 11 | 6 | 15 | 35:46 | 39 |
| ნიურნბერგი | 32 | 10 | 8 | 14 | 51:55 | 38 |
| მაინცი | 32 | 10 | 7 | 15 | 45:52 | 37 |
| გლადბახი | 32 | 8 | 11 | 13 | 34:46 | 35 |
| ------------ | | | | | | |
| ბოხუმი | 32 | 7 | 8 | 17 | 44:68 | 29 |
| ჰანზა | 32 | 7 | 8 | 17 | 29:62 | 29 |
| ფრაიბურგი | 32 | 3 | 9 | 20 | 27:68 | 18 |

# გერმანია

*ვაჟა ხეცივშვილი*

# ბაიერნი ახალ სახლში



ლეგენდარული „ოლიმპიაშტადიონი" დღეიდან მიუნხენის „ბაიერნისთვის" მშობლიური აღარ იქნება

**მიუნხენის** „ოლიმპიაშტადიონზე" „ბაიერნი" დღეს ბოლო მატჩს გამართავს და ეს სტადიონიც ისტორიას ჩაბარდება. „ბაიერნისთვის" ახალი „ალიანს არენა" ააშენეს, რომელიც 280 მილიონი ევრო დაჯდა და ამ თვის ბოლოს საზეიმოდ გაიხსნება.

ფელიქს მაგათის ჩემპიონი გუნდი „ნიურნბერგს" დაუხვდება და, ცხადია, სეზონის ბოლო საშინაო, თან ისტორიულ მატჩში გამარჯვებას ეცდება.

გელზენკირხენის „შალკე" დორტმუნდის „ბორუსიას" მასპინძლობს და „ხუმარების" მიზანი მეორე ადგილის შენარჩუნებაა, რათა ჩემპიონთა ლიგის საგზური პირდაპირ, საკვალიფიკაციო ეტაპის გარეშე გაინაღდონ. „ბორუსიას" კი გელზენკირხენში 1996 წლის შემდეგ არ მოუგია, თუმც დორტმუნდელთა კაპიტან კრისტიან ვიორნსის თქმით, „შალკეს" დამარცხება მათი ქომაგებისთვის ერთობ სასიხარულო იქნება.

„ხუმარათა" გენერალურმა მენეჯერმა რუდი ასაუერმა განაცხადა, მთავარია, მეორე ადგილზე დავმკვიდრდეთ, ამჟამად გერმანიის თასის ფინალზე სულაც არ ვფიქრობთ. შეგახსენებთ, რომ „შალკე" თასის ფინალში ჩემპიონ „ბაიერნს" ხვდება.

გელზენკირხენელებს კუდში „შტუტგარტი" მისდევს და თავის მხრივ, მეორე ადგილის მოხელთებას ცდილობს — მათიას ზამერი იმედოვნებს, რომ მისი ყოფილი გუნდი, დორტმუნდის „ბორუსია", „შალკეს" სამ ქულას არ აჩუქებს, რითაც „შტუტგარტი" ისარგებლებს და დარჩენილ ორ ტურში მესამედან მეორე საფეხურზე აინაცვლებს. შტუტგარტელები ესტუმრებიან „ბოხუმს", რომელიც უკვე მეორებუნდესლიგელია.

ბერლინის „ჰერტასაც" არანაკლები ამბიცია აქვს და ზედა სამეულში მოხვედრას ლამობს, რაკი „შტუტგარტს" მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩება და ბუნდესლიგაში აღიარებულ „მიონხენგლადბახს" მოსაგებად ეწვევა.

ბრემენის „ვერდერმა" მეორე წრის დაწყებიდან უკლო და ახლა მეხუთე ადგილზეა, რაც მომდევნო სეზონში უეფას თასზე თამაშის უფლებას მისცემს. ბრემენელი „მუსიკოსები" უსუსტეს „ფრაიბურგს" მიიღებენ და ალბათ, სამი ქულის მითვლაც არ გაუჭირდებათ. „ფრაიბურგი" ხომ ის გუნდია, რომელმაც ამ სეზონში ყველაზე ცოტა გაიტანა და ყველაზე მეტი გაუშვა.

ლევერკუზენის „ბაიერი" „ვერდერის" კვალში უდგას და ასევე უეფას თასის საგზურის მოპოვებას ლამობს. ლევერკუზენელები „ვოლფსბურგს" ეწვევიან, რომელიც გიგანდერთია, შინ ფრე რომ არ უთამაშია.

33-ე ტურის დანარჩენ მატჩებზე ლაპარაკით კი თავს აღარ შეგაწყენთ, რადგან ცხრილის შუაში მყოფ გუნდებს საინტერესო აღარაფერი აქვთ.

---

| XXXVI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ლევანტე | : | ბარსელონა |
| სევილია | : | რეალი |
| **ხვალ** | | |
| ვილიარეალი | : | ალბასეტე |
| მალიორკა | : | ბილბაო |
| ატლეტიკო | : | ბეტისი |
| სარაგოსა | : | დეპორტივო |
| ესპანიოლი | : | ვალენსია |
| რასინგი | : | ხეტაფე |
| ნუმანსია | : | ოსასუნა |
| სოსიედადი | : | მალაგა |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 35 | 25 | 6 | 4 | 69:25 | 81 |
| რეალი | 35 | 24 | 3 | 8 | 66:29 | 75 |
| ვილიარეალი | 35 | 16 | 10 | 9 | 61:33 | 58 |
| სევილია | 35 | 17 | 7 | 11 | 42:37 | 58 |
| ესპანიოლი | 35 | 16 | 8 | 11 | 49:43 | 56 |
| ბეტისი | 35 | 14 | 13 | 8 | 56:46 | 55 |
| ვალენსია | 35 | 13 | 14 | 8 | 51:37 | 53 |
| ბილბაო | 35 | 14 | 9 | 12 | 56:46 | 51 |
| დეპორტივო | 35 | 12 | 13 | 10 | 43:44 | 49 |
| სარაგოსა | 35 | 14 | 7 | 14 | 47:49 | 49 |
| ატლეტიკო | 35 | 13 | 9 | 13 | 37:30 | 48 |
| სოსიედადი | 35 | 13 | 6 | 16 | 44:51 | 45 |
| ხეტაფე | 35 | 12 | 9 | 14 | 35:42 | 45 |
| ოსასუნა | 35 | 12 | 8 | 15 | 44:61 | 44 |
| მალაგა | 35 | 12 | 6 | 17 | 33:47 | 42 |
| რასინგი | 35 | 10 | 8 | 17 | 38:55 | 38 |
| ლევანტე | 35 | 9 | 8 | 18 | 37:53 | 35 |
| მალიორკა | 35 | 8 | 8 | 19 | 34:59 | 32 |
| ალბასეტე | 35 | 6 | 9 | 20 | 31:53 | 27 |
| 11099 | ლეჩე-მილანი | 7.5 | 10.0 | 20.0 | 8.5 | 4.4 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.4 |
| 11104 | სიენა-კიევო | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11105 | უდინეზე-სამპდორია | 3.2 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 5.0 |
| 11136 | ატლეტიკო-ბეტისი | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 4.0 |
| 11137 | ესპანიოლი-ვალენსია | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 4.0 |
| 11138 | ლევანტე-ბარსელონა | 7.5 | 10.0 | 20.0 | 8.5 | 4.4 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.3 |
| 11140 | მალიორკა-ბილბაო | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11141 | ნუმანსია-ოსასუნა | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 4.0 |
| 11142 | რასინგი-ხეტაფე | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11143 | სევილია-რეალი | 5.3 | 10.0 | 20.0 | 6.0 | 4.4 | 4.0 | 20.0 | 10.0 | 3.0 |
| 11144 | სოსიედადი-მალაგა | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11145 | ვილიარეალი-ალბასეტე | 1.4 | 15.0 | 30.0 | 3.5 | 5.0 | 11.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11146 | სარაგოსა-დეპორტივო | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 4.8 |

# რიმას, ჩაიხედე ზერკალოში

## აზერბაიჯანს ჩემპიონი წაართვეს

**აზერბაიჯანის ჩემპიონატი დასრულდა, ხოლო ქართველებით გაძლიერებული და ნუგზარ კანდელაკის განვრთნილი „გიარბ უნივერსიტეტი" ოქროს მედლების გარეშე დარჩა, მაგრამ... ჩემპიონი არც სტუდენტების მეტოქე, რიმას კურტინაიტისის „გალა" გამხდარა. ჩვენს მეზობელ ქვეყანაში უნიკალური შემთხვევა მოხდა, რომლის ანალოგიც ალბათ მსოფლიოს არ ახსოვს. ჩემპიონატი ფინალური სერიის მეხუთე მატჩის შემდეგ შეწყდა ისე, რომ... ამ სეზონში აღარ გაგრძელდება. აზერბაიჯანის ჩემპიონატების ისტორიაში 2004-05 წლების სეზონს გამარჯვებული არ ეყოლება.**

ირაკლი პერტაია

**ჩემპიონატის** შეწყვეტის მიზეზი ფინალური სერიის მეხუთე მატჩში მომხდარი ჩხუბი გახდა, რომელშიც გულშემატკივრებიც მონაწილეობდნენ. უშუალოდ მატჩის მსვლელობისას შეტაკებები ერთმანეთს მოთამაშეები, მაგრამ [illegible] სირენის შემდეგ, როცა „გიარბ უნივერსიტეტის" [illegible]

ამ ამბავთან დაკავშირებით ჩვენ ნუგზარ კანდელაკს მივმართეთ [illegible], მანამდე კი აზერბაიჯანის რესპუბლიკური გაზეთ „ზერკალოს" საიტზე [illegible] გავეცანით...

...[illegible]

[illegible] ბა მოჰყვა. მოთამაშეებსა და „გალას" გულშემატკივრებს შორის შუა მოედანზე ჩხუბი ატყდა. ნუგზარ კანდელაკი ცდილობდა, თავისი გუნდის წევრები დაეწყნარებინა, ხოლო პოლიციამ [illegible] დააკავა.

როცა ჩხუბი შეწყდა, მერე მატჩის კომისარმა დაიწყო საქმის გარჩევა, რომელმაც ძალიან გულუბრყვილო და არაპროფესიონალური ახსნა მოუძებნა თავის საქციელს. მან თქვა, რომ გალელი კალათბურთელის უხეშობა დაინახა, მაგრამ მსაჯს არ უნდოდა, დამრღვევი მოედნიდან გაეძევებინა. „გიარბ უნივერსიტეტის" მწვრთნელი ნუგზარ კანდელაკი სამართლიანად აღშფოთებული იყო და განაცხადა: „მაშინ რა აზრი აქვს თამაშს, როცა მატჩის კომისარი დარღვევას ხედავს, მაგრამ გადაწყვეტილებას არ იღებს"

ეს სიტყვები კანდელაკმა „ზერკალოს" ჟურნალისტს უთხრა, ახლა კი იგი უკვე „სარბიელის" რესპონდენტია...

— ასეთი რამ არც არსად მინახავს და არც გამიგონია. გუშინ აზერბაიჯანის კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა ისე შეიკრიბა, რომ ჩვენ არაფერი გაგვაგებინა და უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო — ეროვნული ჩემპიონატი შეწყდა. ის აღარ გაგრძელდება და სამ დღეში თბილისში მოვემგზავრები.

**— ჩემპიონი არ გამოვლინდება?**

— არა და ამის გამოა სწორედ ფედერაციის წარმომადგენელთა გადაწყვეტილება გაუგებარი. სერიაში „გალა" ლიდერობდა 3:2-ს, მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა, აზერბაიჯანს წლეულს ახალი ჩემპიონი არ ეყოლება.

**— ანუ „გალა" კვლავ ჩემპიონია...**

— ეგრე გამოდის, ის ხომ მოქმედი ჩემპიონია, მაგრამ ამ სეზონში ჩემს გუნდს ფინალური სერია არ წაუგია „გალასთან". ის კი არა, მსაჯებს რომ ნამუსი ჰქონოდათ, ჩემპიონები გავხდებოდით.

**— მსაჯთა „გალასადმი" მიკერძოებას თავად აზერბაიჯანელი ჟურნალისტებიც აღნიშნავენ...**

— ნეიტრალური ქომაგი იოლად შეამჩნევდა, რომ მსაჯები „გალას" ემხრობოდნენ. არ მინდა ახლა მათ შეცდომებზე ლაპარაკი, ყველაფერი ისედაც ნათელია. ბოლო მატჩში მსაჯები რით აღარ დაეხმარნენ და „გალამ" 2 ქულით ძლივს დაგვამარცხა.

**— ჩხუბი რატომ მოხდა?**

— „გალა" ფედერაციის გუნდია, იქიდან ფინანსდება კურტინაიტისის კლუბი და ფანებიც თავის გემოზე იქცევიან. მათ საიდანღაც მოიყვანეს უზრდელი გულშემატკივრები, დარბაზი გაავსეს და პროვოკაციის მოწყობას ცდილობდნენ. ეს მათ გამოუვიდათ კიდეც და ჩხუბიც ამის გამო მოხდა. თუმცა ახლა ყველაფერი დასრულებულია, ჩემპიონატი შეწყდა.

**— თქვენთვის კარგია ეს თუ ცუდი?**

— ცუდი ნაღდად არ არის, რადგან ჩემს გუნდს „გალასთან" არ წაუგია. რიმას კურტინაიტისს უთქვამს, ნუგზარ კანდელაკი ვინაა, ასეთი მწვრთნელი არც გამიგია. დამამცირა, თავის ჭკუაში. იმასაც ვერ ხვდება, რომ თავის სამწვრთნელო პრესტიჟს ლახავს ამ სიტყვებით. თუ კანდელაკი ცუდი მწვრთნელია, მასთან კურტინაიტისმა სამი მატჩი წააგო. ერთი სიტყვით, აქ სეზონი დამთავრდა, მალე თბილისში ვიქნები და ახალგაზრდულ ნაკრებში მუშაობას შევუდგები.



„ავიამშენის" გამარჯვებაში ირაკლი ხოშტარიამ (ბურთით) ლომის წილი დაიდო

[illegible] ფოტო

# ავიაციის რევანში

**რა** დიდი მარჩიელობა უნდოდა იმას, რომ ლევან მოსეშვილის გუნდი გუშინ გაავთრებული გავიდოდა მოედანზე. „ავიამშენმა" ფინალური სერიის პირველი მატჩი 19 ქულით რომ წააგო, ამას ერთის მხრივ დადებითი ეფექტის მოტანა შეეძლო და მოიტანა კიდეც. „ავიატორებმა" მთელ ძალების მობილიზება გაუკეთეს და გუშინ „სტუ-ჯეოსელს" სერიაში ანგარიში გაუთანაბრეს.

მოსეშვილის შეგირდები თავიდანვე ეკვეთნენ მეტოქეს და ერთი ამოსუნთქვით მოიპოვეს გვარიანი უპირატესობა. „ავიაციამ" ერთი შეცვლა გააკეთა დამწყებ ხუთეულში. კახა შენგელიას ნაცვლად ცენტრალური თავდამსხმელობა დავით ბერძენიშვილმა ითავა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, მოსეშვილს არა მეფარეთათვის, არამედ სულ სხვა როლისთვის დაევალებინა ქულების გროვება. „ავიამშენმა" თავიანება ცენტრზე აგებულ თამაშს და სტუდენტებს იმ იარაღით შეუტია, რითაც წინა დღეს თავად განიგმირა — სწრაფი შეტევებით.

ვის, ვის და „ავიატორ" გიორგი ნიკოლაძეს ვერავინ აჯობებს სისწრაფეში. მან და ირაკლი ხოშტარიამ უსწრაფესი გარღვევებით „ავიამშენს" ის საჭირო ქულები მიაშველეს, რითაც მოსეშვილის გუნდმა სოლიდური უპირატესობა მოიპოვა — 23:10 პირველი მეოთხედის დასრულებამდე 2 წუთით ადრე.

ერთ ეპიზოდში „ავიატორებს" ნერვებმა უმტყუნა, მათ ტექნიკური დაიმსახურეს და სტუდენტებმაც ერთ შეტევაში 4 ქულა მიითვალეს. ამასობაში პირველმა შესვენებამაც მოატანა — 24:16 „ავიამშენის" სასარგებლოდ.

განახლდა თამაში და „ავიაციამ" კიდევ უფრო აკრიფა „სიმაღლე". შეცვლაზე შემოსულმა დავით თორთლაძემ მოლიდერე გუნდის უკანა ხაზი კიდევ უფრო გააძლიერა, სისწრაფეც შემატა და შესაბამისად ქულებიც. ანგარიშიც მოსეშვილის გუნდის სასარგებლოდ იზრდებოდა — 38:22 ტაიმის დასრულებამდე 3 წუთით ადრე.

სტუდენტებს არაფერი გამოსდიოდათ, ყველა საქმეში ხელი მოეცარათ. ნუგზარ ჭეიშვილმა თითქმის ყველა მის განკარგულებაში მყოფი კალათბურთელი გამოიყვანა მოედანზე, ახალგაზრდებსაც მისცა შანსი, მაგრამ ამაოდ დაშვრა. თინეიჯერმა სათადარიგო გიორგი კოხრეიძემ ერთი სამქულიანი კი ჩააგდო, მაგრამ ამან სტუ-ს ჩაფლავებულ საქმეს ვერ უშველა და ტაიმიც „ავიატორთა" 12-ქულიანი უპირატესობით — 47:35 დასრულდა.

სტუ-ს გონზე გასასვლელად დიდი შესვენება ჰქონდა, რომელიც ნუგზარ ჭეიშვილმა კარგად გამოიყენა. გასახდელიდან დაბრუნებული სტუდენტობა სულ სხვა გუნდად მოგვევლინა.

ტექნიკოსებმა სწორედ ის იარაღი აართვეს „ავიატორებს", რომელსაც ეს უკანასკნელნი ეფექტურად იყენებდნენ.

დავით ბერიშვილმა და რამაზ გოგობერიშვილმა სტუ-ს სისწრაფე შემატეს და ელვისებური კონტრშეტევებით ანგარიშის გათანაბრებას მიჰყვეს ხელი. ტექნიკოსებს სხვა გზა არც ჰქონდათ, მათ ხომ მეხუთე პერსონალურის გამო გავარდნილი ირაკლი კიდიას სახით ფარქვეშ მყარი ბურჯი გამოეცალათ.

დაბლებმაც გაამართლეს და უსწრაფესი კონტრშეტევების წყალობით სტუ მესამე მეოთხედის მიწურულს მეტოქეს 2 ქულით მიუახლოვდა, თუმცა უკანასკნელი ათწუთეულის წინ მაინც ჩამორჩა — 58:65.

გადამწყვეტი მეოთხედი ისეთი სცენარით წარიმართა, ორივე გუნდს შეეძლო მოგება. ის კი არა, დავით ბერიშვილის სროლის შემდეგ სტუ დაწინაურდა კიდეც. „ავიამშენის" დამარცხება უამრავმა გაცუდებულმა შეტევებმა განაპირობა. კახა შენგელიამ ფარქვეშ ზედიზედ ოთხჯერ დაკარგა ბურთი და ტექნიკოსებმაც სწორედ ამით ისარგებლეს.

სირენამდე 4 წუთით ადრე სტუდენტები 69:68 იგებდნენ, მაგრამ მოულოდნელად გაუგებარი რამ დაემართათ. სტუ-ს თითქმის ყველა მოთამაშეს მიზანი წაუხდა და ამით, რა თქმა უნდა, „ავიამშენმა" ისარგებლა. მოსეშვილის სამწყსომ 13:4 მოიგო თამაშის უკანასკნელი 4 წუთი და ამასთან ერთად, მატჩიც.

მაშ ასე, სერიაში ანგარიში გათანაბრდა და მცირე შესვენების შემდეგ „ავიამშენი" და სტუ 17 მაისს ისევ შეერკინებიან ერთმანეთს.

გუშინვე გაიმართა მესამე ადგილისთვის მატჩიც, რომელშიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა საპრაკო მარცხი აგემა „დინამოს" და ახლა გადამწყვეტი მატჩის გარეშე — მესამე ადგილის მფლობელი ხომ ორი მოგების ჯამში ვლინდება.

ირაკლი გამყრელიძემ საწყის სამ მეოთხედში ლომის ათიხა სტუდენტების სამწვრთნელო. მის უსწრაფეს გარღვევებს სტუდენტები ვერაფრის უხერხებდნენ და ამიტომაც ნანობდნენ.

ბოლო ათწუთეულში თსუ-ს არაფერი ჰქონდა დასაკარგი. ლომის 20 ქულით აგებდა და მატჩთან ერთად სერიასაც აგებდა. სტუდენტებმა, ასე ვთქვათ, ვა-ბანკზე წავიდნენ და ანგარიშის გათანაბრების საკმაო ეფექტურ საშუალებას — პრესინგს მიმართეს.

ამან გაამართლა და თსუ-მ ანგარიში გაათანაბრა.

ბოლო წუთზე „დინამოს" რამდენიმე ტაქტიკური ჯარიმა ადეს, მაგრამ არც ნიკა ვეფხვაძე და არც გიორგი მარხვაშვილი მიზანს არ დააცილეს. თსუ-მ იმარჯვა და ბრინჯაოს მედლების მფლობელი 17 მაისის გადამწყვეტ მატჩში გამოვლინდება.

**თსუ 1:1 დინამო**

**თსუ 80:77 დინამო**

19:24 15:18 21:25 25:10

**თსუ:** ვეფხვაძე (5), მაისურაძე (20), ბაქრაძე (5), ფანჩულიძე (11), კოკოლიშვილი (4); გაფრინდაშვილი (10), მ. ბერიშვილი (12), მარხვაშვილი (6), ბერაია (5), ხიზანიშვილი (2)

**დინამო:** გამყრელიძე (28), გ. ბერიშვილი (14), ლაფანაშვილი (13), ჩხატარაშვილი (5), კილაძე (3); კვიმსაძე (6), დ. მაისურაძე (4), სუხიშვილი (2), ბექაური (2)

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

**სტუ 1:1 ავიამშენი** სამ გამარჯვებამდე

**სტუ 73:81 ავიამშენი**

16:24 19:23 23:18 15:16

| სტუ-ჯეოსელი | ქ | მ | პ | ჩ | დ |
|---|---|---|---|---|---|
| დ. ბერიშვილი | 18 | 1 | 1 | 2 | 1 |
| კეიდია | - | 2 | - | 1 | - |
| გაგნიძე | 4 | 4 | - | - | - |
| კოხრეიძე | 3 | - | - | 1 | - |
| შანიძე | - | 5 | 2 | - | - |
| მათიაშვილი | 7 | 10 | - | 2 | 4 |
| მარკოიშვილი | 5 | 6 | - | 1 | 6 |
| ჯაფარიძე | 6 | 4 | - | - | 3 |
| გოგობერიშვილი | 20 | 6 | 1 | 2 | 1 |
| მიქაძე | - | 2 | 1 | 1 | 3 |

| ავიამშენი | ქ | მ | პ | ჩ | დ |
|---|---|---|---|---|---|
| თორთლაძე | 15 | 7 | 2 | 1 | 5 |
| ნიკოლაძე | 18 | 4 | 1 | 2 | 3 |
| ხოშტარია | 17 | 5 | 1 | 2 | 3 |
| შენგელია | 7 | 7 | - | 1 | 3 |
| წოწელია | - | 3 | 2 | 1 | - |
| ნინიაშვილი | 8 | 5 | - | 2 | 2 |
| ორმოცაძე | 8 | 10 | - | - | 2 |
| ბერძენიშვილი | 5 | 2 | 1 | - | 2 |
| ნოზაძე | 2 | - | - | - | - |

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე

კომისარი: მურმან ქურიძე

ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; დ — დაკარგვა

NBA PLAY OFF 2005 მეორე წრე

# აგერ გარ, შენი ჭირიმე!
## ზო მურნინგმა შაკილი დაასვენა


AFP
ალონზო მურნინგი

— 12 მაისი —

**აღმოსავლეთი**

მაიამი 3:0 ვაშინგტონი

**ვაშინგტონი 95:102 მაიამი**

**ვაშინგტონი:** არენასი (20 ქულა, 14 პასი), ჰიუზი (19), ჯემისონი (21), ჯეფრისი (4), ჰეივუდი (15); დიქსონი (16), რუფინი

**მაიამი:** ვეიდი (31 ქულა, 9 მოხსნა, 6 პასი), დ. ჯონსი (16), ე. ჯონსი (16), ჰეისლიპი (12 ქულა, 12 მოხსნა), მურნინგი (14 ქულა, 13 მოხსნა, 4 დაფარება); დულინგი (9), დოლიკი (2), ანდერსონი (2)

**„ჩვენ** კიდევ ბევრჯერ დავარწმუნებთ ხალხს, რომ ცდება. „მაიამი“ არაა ერთი ან თუნდაც ორი კაცის გუნდი. ჩვენი გუნდის ნების მიერ მოთამაშეს გამჯდარი აქვს რწმენა, რომ ერთ თვეში ჩემპიონი გახდება“ — ეს სიტყვები „მაიმი ჰითის“ ოდინდელ ლიდერ, აწ კი სათადარიგო მოთამაშე ალონზო მურნინგს ეკუთვნის.

„მაიამიმ“ სტუმრადაც დასცა „ვაშინგტონი“ და ზედიზედ მეშვიდე საპლეიოფო გამარჯვება ჩაიწერა, მიუხედავად იმისა, რომ შაკილ ონილი აკლდა. შაკი თეძოს იტკივებდა და გუნდის გამრიგეებმაც არ გარისკეს, გოლიათი ცენტრი ერთი თამაშით დაასვენეს და წაგებულები არ დარჩენილან. შაკი რიგიანად შეცვალა ზო მურნინგმა.

„შაკმა მატჩამდე მითხრა, ხომ იცი, როგორ მჭირდებიო, მეც ვუპასუხე, საკმარისია, მეტის თქმა საჭირო არ არის-მეთქი“ — ამბობს მურნინგი.

მართალია, ის ახლა 35 წლისაა და ასაკსაც რომ თავი დავანებოთ, ისეთი დაავადება გადაიტანა, ძველებურად თამაშს ვერ მოსთხოვ, მაგრამ მურნინგმა 35 წუთში მაინც გაახერხა 14 ქულა, 13 მოხსნა 4 დაფარება და, შეიძლება ითქვას, სრულფასოვნად შეცვალა შაკი.

მშვენივრად გაისარჯა „ჰითის“ ბომბარდირი დუეინ ვეიდიც, რომელმაც უხიეროდ დაიწყო, პირველივე მეოთხედში ხუთჯერ (!) დაკარგა ბურთი, მაგრამ მერე ჩვეულად მჩქეფარედ ათამაშდა და დიდი თავსატეხი გაუჩინა ვაშინგტონელებს. სხვა მაიამელებიც არ ამთქნარებდნენ თამაშისას და შეხვედრაც რიგიანი გამოვიდა.

„ვაშინგტონი“ ყოჩაღად დაუხვდა ფავორიტს, დაძაბულ თამაშში რამდენჯერმე ლიდერობაც ჩამოართვა, მაგრამ ჯილბერტ არენასმა და მისიანებმა მესამე მეოთხედში წაუძინეს, ერთი მონაკვეთი 0:13 დათმეს და 5 ქულით ჩამორჩნენ მაიამელებს. ამათაც, რაკი უპირატესობა ხელთ იგდეს, აღარც დაუთმიათ. მეოთხე მეოთხედის დასაწყისში 13 ქულით გაიჭრნენ წინ და სამ ქულზე ახლოს არც გაიკარეს მეტოქე.

**დასავლეთი**

სან ანტონიო 2:1 სიეტლი

**სიეტლი 92:91 სან ანტონიო**

**სიეტლი:** რიდნორი (9), ალენი (20 ქულა, 7 მოხსნა, 7 პასი), ლუისი (12 ქულა, 10 მოხსნა), ევანსი (2), ჯეიმსი (15); დანიელსი (18), კოლისონი (10), ფორტსონი (4), პოტაპენკო (2), უილკინსი

**სან ანტონიო:** პარკერი (18), ბერი (7), ბოუენი (3), დანკანი (23 ქულა, 11 მოხსნა, 4 დაფარება), მუჰამედი (7); ჯინობილი (18), ჰორი (11), ნესტეროვიჩი (4), უდრიჰი, რობინსონი

**სიეტლელებს** არ სურდათ, ასე უსახელოდ დანებებულიყვნენ და პატარა სენსაცია გამოაცხვეს — ორი ოლსტარელის და საუკეთესო მოთამაშის, რაშარდ ლუისისა და რეი ალენის გარეშე მოიგეს. არა, სიეტლელთა ბედად, ამათ არაფერი დაშავებიათ, მაგრამ ბოლო მოეთხედში ვერაფრით დაეხმარნენ თავისიანებს და „სიეტლმაც“ ფაქტობრივად უმათოდ მოიგო. ალენმა თამაშიდან 23-ჯერ ტყორცნა და მხოლოდ 6-ჯერ ჩააგდო. ამასთან, მან დასკვნით მეოთხედში — როცა ემოციები დუღდა და „სან ანტონიო“ მთელი ტანით მოიწევდა „სიეტლისკენ“ — მან ექვსივე ტყორცნა გააფუჭა.

სამაგიეროდ, ხელი გამოიღო სათადარიგო გამთამაშებელმა ანტონიო დანიელსმა, ვის ანგარიშზეც მეოთხე 12-წუთეულში 10 ქულაა.

„საპლეიოფო თამაშებში ზოგჯერ ყველაფერს წყვეტს ერთი შეხედვით უმნიშვნელო წვრილმანი — ამბობს დანიელსი — ასეთი წვრილმანები აკეთა ვიტალი პოტაპენკომ და ჩვენი გამარჯვება მისი დამსახურებაა.“

„სიეტლის“ უკრაინელმა ცენტრმა მატჩი მხოლოდ ორი ქულით დაასრულა, მაგრამ კარგად იმუშავა სანანტონიოელთა საუკეთესო მოთამაშე ტიმ დანკანზე და უკვე 92:91 ანგარიშზე, ბოლო წამებზე ზედ ფართან მისულს ბურთის ჩაგდება არ დაანება.

„ჩვენ დღეს ისევე აგრესიულად ვითამაშეთ, როგორც „სან ანტონიომ“ პირველ და მეორე შეხვედრაში. სხვანაირად ამ გუნდს ვერაფერს მოუხერხებ. თანაც 0:3 ჩამორჩენის შემდეგ პრაქტიკულად ყველა შანსი გვერთმეოდა, ასე კი, ვინ იცის, იქნებ ჩვენც გაგვიმართლოს.“

„სიეტლი“ მასპინძლობს სერიის მეოთხე მატჩსაც.

**ქოტე ყორშია**

# ორი ხუთეულის... თერთმეტი წევრი

**ნბა-ს** 30 გუნდის ოცდაათივე მთავარმა მწვრთნელმა გუშინწინ დაასახელა სეზონის დაცვის ხუთეულები. პირველ ხუთეულში თავისთავად ულაპარაკოდ მოხვდა სეზონის რჩეულ დამცველად დასახელებული დეტროიტელი ბენ ვოლესი. მას მხარს უმშვენებენ პირველ ხუთეულში ზედიზედ მერვედ ჩამჯდარი ტიმ დანკანი (სან ანტონიო), ზედიზედ მეექვსედ მოხვედრილი კევინ გარნეტი (მინესოტა), ბრიუს ბოუენი (სან ანტონიო) და ლარი ჰიუზი (ვაშინგტონი).

მეორე ხუთეული ექვსმა მოთამაშემ შეადგინა — ტაიშონ პრინსი, ჩონსი ბილაფსი (ორივე დეტროიტი), მარკუს კემბი (დენვერი), ანდრეი კირილენკო (იუტა), დუეინ ვეიდი (მაიამი), ჯეისონ კიდი (ნიუ ჯერსი).

ვეიდმა და კიდმა თანაბარი რაოდენობით მიიღეს ხმები და მეორე ხუთეულიც ამიტომაა ექვსკაციანი.



ჯირო დიტალია 2005.



# სეირნობა მორჩა
## წინ აბრუცი იბორცვება

**„ჯირო დიტალიას“** ახალი ყოჩი ჰყავს. 29 წლის იტალიელმა დანილო დი ლუკამ მეორე ეტაპი მოიგო და საერთო ჩათვლის ლიდერ პაოლო ბეტინის პირველობა ჩამოართვა. საზოგადოდ დი ლუკას მშვენიერი სეზონი აქვს — წლეულს წვრილმანი რბოლებიც ბლომად მოიგო, ბასკეთის ტურში იპირველა და აგრეთვე იმარჯვა „ამსტელ გოულდზე“ და „ფლეშ ვალონზე“. ასე რომ, მისი ყოჩაღობა არავის უკვირს.

„მოგება ასე არასდროს გამხარებია — ამბობს დი ლუკა — მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან მესამე ეტაპზე დამიანო კუნეგოს ვაჯობე და საკუთარი ძალების მაშინ საბოლოოდ ვირწმუნე, მაგრამ მოგებასთან ერთად ლიდერის ვარდისფერი მაისურაც თუ მერგებოდა, ამას აღარ მოველოდი. გადასარევი სეზონი მაქვს. რამდენიმე კვირით მექსიკაში ვიყავი, იქ შესანიშნავ პირობებში და ხალხში ვვარჯიშობდი და შედეგიც სახეზეა.“

დი ლუკამ ისიც დაიჩივლა, სამი წელი „საეკოში“ სხვა ცნობილი მრბოლებისთვის შავ სამუშაოს ვასრულებდი და, ჩემდა სამწუხაროდ, გვიან მივხდი, გაცილებით [illegible] შემეძლოვო. ახლა ის „ბიანკის“ [illegible] ხელით და მაისურით [illegible] გუნდს მშვენივრად [illegible] რჯერობით ლიდერობს [illegible]

თანაგუნდელებიც [illegible] ეხმარნენ დი ლუკას. [illegible] ჯერჯერობით ყველაზე [illegible] 223-კილომეტრიან ეტაპზე [illegible] სწორედ „ბიანკი“ [illegible] ამ ტემპისთვის მოუმზადებელი [illegible] მოჩნდა საერთო ჩათვლის [illegible] რი პაოლო ბეტინიც და [illegible] სი გუნდიც. ამიტომაც [illegible] დერობა.

ჯირო კი ნება-ნება [illegible] და ვაკიანი ეტაპების შემდეგ [illegible] ტონს პირველი მთებიც [illegible] 3400-კილომეტრიან [illegible] ნახევარკუნძულის [illegible] მთები წამოჭიმულან და [illegible] საც ის ახარებს, მთიან [illegible] მისად რთულ გზას ლიდერი [illegible] გაუყვება. „რაც შეიძლება [illegible] უნდა შევინარჩუნო ვარდისფერი მაისურა — ამბობს ის — [illegible] ტა, ორი-სამი ეტაპი მაინც.“

**ქოტე ყორშია**


AFP
დანილო დი ლუკა

**მე-5 ეტაპი. 12 მაისი. ჩელანო — ლაკუილა. 223 კმ**

| | |
|---|---|
| 1 დანილო დი ლუკა (იტალია, ბიანკი) | 6 სთ, 1 წთ, 18 წმ |
| 2 მარციო ბრუზეგინი (იტალია, ფასა ბორტოლო) | იგივე დრო |
| 3 მაურიციო ალბერტო არდილა კანო (კოლუმბია, ლოტო) | 2 წმ |
| 4 ბიორნ ლეუკემანსი (ბელგია, ლოტო) | |
| 5 ივან ბასო (იტალია, CSC) | |
| 6 დამიანო კუნეგო (იტალია, ლამპრე) | |
| 7 სტეფანო გარძელი (იტალია, ბიანკი) | |
| 8 პაოლო სავოლდელი (იტალია, დისკოვერი) | ყველა იგივე დრო |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1 დანილო დი ლუკა (იტალია, ბიანკი) | 26 სთ, 20 წთ, 55 წმ |
| 2 პაოლო ბეტინი (იტალია, ქუიქ სტეპი) | 3 წმ |
| 3 ლუკა მაცანტი (იტალია, კერამიკა პანარია) | 25 წმ |
| 4 დარიო დავიდ ჩიონი (იტალია, ბიანკი) | 28 წმ |
| 5 დამიანო კუნეგო (იტალია, ლამპრე) | 30 წმ |

# მსოფლიოს ჩემპიონატი. ვენა-ინსბრუკი
# ფავორიტები ფავორიტობენ




**კანადა, ჩეხეთი, შვედეთი, რუსეთი — ნახევარფინალის ასეთი შემადგენლობა ნამდვილი სიამოვნებაა ჰოკეის მოყვარულთათვის. სწორედ ოთხი წამყვანი ქვეყნის გუნდებმა, რომლებიც ჩემპიონატის ფავორიტებად აღიქმებოდნენ, გადალახეს მეოთხედფინალური ბარიერი და შაბათ-კვირას მედლებს გაითამაშებენ. თუმცა რა ტანჯვის და ოფლის ღვრის ფასად დაუჯდა უკლებლივ ყველას ეს წარმატება, მხოლოდ თავად ჰოკეისტებმა, თავკაცებმა და, ალბათ, ქომაგებმა იციან. ორი მატჩის შემდგომი ბულიტების სერია და ანგარიშში ორი მინიმალური სხვაობა — აი, ასეთი გახლდათ ხუთშაბათის მატჩების შედეგი, თანაც უკლებლივ ყველა ფავორიტი თამაშის მსვლელობისას აგებდა, მაგრამ მაინც იმარჯვა.**

### კანადა — სლოვაკეთი
*5:4 2:2 1:1 2:1*

**0:1 გაბორიკი (1), 1:1 ჰიტლი (6), 1:2 ბანდზუში (9), 2:2 სმიტი (17), 3:2 განიე (25), 3:3 დემიტრა (35), 3:4 დემიტრა (44), 4:4 განიე (49), 5:4 ტორნტონი (56)**

**კანადელებმა** მადლობა უნდა მოუხადონ მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზატორებს, ისინი ლიდერ რიკ ნეშის გარეშე რომ არ დატოვეს. შვედებთან თამაშში მსაჯი ვიანსილლავ ბულანოვის ყვანჯით დაზიანების ფაქტს არანაირი რეაგირება არ მოჰყვა მაშინ, როცა ნჰლ-ში ამგვარი ქმედება ზოგჯერ 20-მატჩიანი დისკვალიფიკაციით ისჯება. ალბათ, იფიქრეს, აბა, ტურნირის მთავარ მშვენებას ხომ არ მოვაკლებთ, მერე ბილეთებიც ნაკლებად გაიყიდება და ვიზარალებთო.

ასეა თუ ისე, ნეშმა ითამაშა და ბევრად მისი დამსახურებაა, რომ კანადა ნახევარფინალში გავიდა. საქმე მარტო მის მიერ გაკეთებულ სამ საგოლე გადაცემაში როდია. ნეშის გარეშე დაიშლებოდა ოკეანისგაღმელთა ერთადერთი ქმედუნარიანი სამეული ნეშ-ტორნტონ-ხავსი, რომელიც მთელი ტურნირის განმავლობაში „მაათრევს" გუნდს. თანაც ამჯერად პირველ პლანზე აქამდე შედარებით ჩრდილში მყოფი სიმონ განიე გავიდა. უაღრესად დრამატულ თამაშში, რომელშიც ვითარება არაერთხელ შეიცვალა, სწორედ განიემ გაათანაბრა ანგარიში (მატჩში მესამედ), ხოლო გადამწყვეტი შაიბა ტორნტონმა მისი პასის შემდეგ შეაგდო.

### რუსეთი — ფინეთი
*4:3 2:3 1:0 0:0 0:0*

**ბულიტების სერიაში 1:0**

**0:1 პაკასლაჰტი (8), 0:2 ჰენტუნენი (13), ოვეჩკინი (17), 2:2 გუსევი (18), 2:3 ტიმონენი (19), 3:3 დაციუკი (32)**

**გადამწყვეტი ბულიტი:** აფინოგენოვი

**მიუხედავად** ჩვენი სიმპათიისა თუ ანტიპათიისა რუსეთის მიმართ, ფაქტი მაინც უნდა ვაღიაროთ. წარმოუდგენელია, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ნაკრები მუდმივადვარდებოდეს მეოთხედფინალურ სტადიაზე ხუმრობაა, 1992 წლიდან 14 პირველობაში რუსებმა 10-ჯერ (!) ვერ გადალახეს ეს ბარიერი და, სიმართლე რომ ვთქვათ, ბევრჯერ ეს უიღბლობის გამო ხდებოდა. ამჯერად სლავებმა ნავსი გატეხეს და ისევ, როგორც წინა თამაშებში, მათთვის არასახური ნებისყოფა და ჟინი გამოამჟღავნეს. უკვე მე-13 წუთზე რუსები 0:2 აგებდნენ, თანაც მეორე შაიბა მათ კარში მცველი დენისოვის ხელით უნაიათო მოძრაობის შემდეგ აღმოჩნდა. თუმცა რუსებმა პირველივე პერიოდში შეძლეს ანგარიშის გათანაბრება და მაშინაც არ გატყდნენ, როცა კიმო ტიმონენმა კვლავ დააწინაურა ფინელები.

მეორე და მესამე პერიოდი სლავთა აშკარა უპირატესობით წარიმართა და მათ ძირითად დროშივე უნდა მოეგოთ, მაგრამ მხოლოდ ანგარიშის გათანაბრება შეძლეს. პაველ დაციუკმა, რომელმაც მთელი შეხვედრა შეუდარებლად ჩაატარა, უმცირესობაში მყისიერი დარტყმით „ცხრიანი" დაცხრილა.

ოვერტაიმმა ვერაფერი შეცვალა, ბულიტების სერიაში კი რუსებმა 4 ცდიდან სამი გამოიყენეს, ხოლო მეხუთე აღარ გახდა საჭირო, ვინაიდან ფინელთა ლიდერმა ოლი იოკინენმა ვერ შეძლო მაქსიმ სოკოლოვის მოტყუება.

### ჩეხეთი — აშშ
*3:2 0:1 0:1 2:0 0:0*

**ბულიტების სერიაში 1:0**

**0:1 მოდანო (10), 0:2 მ. პერიში (26), 1:2 ჟიდლიცკი (42), 2:2 შაჩეკი (50)**

**გადამწყვეტი ბულიტი:** რუჩინსკი

**საოცარია**, მაგრამ ჩეხებსა და ამერიკელების მატჩში ამ გუნდების წინა პირველობაზე გამართული თამაშის სიუჟეტი აბსოლუტური სიზუსტით განმეორდა, ოღონდ ამჯერად ევროპელებმა იმარჯვეს.

შეგახსენებთ, რომ 2004 წლის მეოთხედფინალში ჩეხები 2:0 იგებდნენ, მაგრამ შემდეგ აშშ-მ გაათანაბრა, ხოლო ბულიტების სერიაში ერთადერთი ზუსტი დარტყმა ენდი როუჩმა შეასრულა. ბედის ირონიით, სწორედ როუჩი ასრულებდა ამჯერად ბოლო „პენალტს". ზუსტად იგივე ცრუმოძრაობა გააკეთა, ოღონდ სხვა მიმართულებით, მაგრამ მის მიერ შარშან „მოთაფლული" ჩეხთა მეკარე ტომაშ ვოკოუნი ამჯერად არ მოტყუვდა და თავისი გუნდის შთამბეჭდავ შურისძიებაში მთავარი წვლილი შეიტანა. გადამწყვეტი კი ჩეხთა პირველი ბულიტი გახდა, რომელიც მარტინ რუჩინსკიმ ჩინებულად შეასრულა.

რაც შეეხება თავად მატჩს, ორი პერიოდის განმავლობაში ჩეხები სრულიად არ ჰგავდნენ თავიანთ თავს. წინა მატჩებში ყველაზე აგრესიული გუნდი აშკარად ვერ პოულობდა თავის თამაშს და თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა. ვინ იცის, როგორ დასრულდებოდა შეხვედრა, მესამე პერიოდის პირველივე წუთებზე მარეკ ჟიდლიცკის დარტყმის შემდეგ შაიბას რომ არ გაეკვლია გზა კარისკენ (მან რამდენიმე ჰოკეისტს აუარა გვერდი). ამის შემდეგ ევროპელები გამხნევდნენ და აიკლეს რიკ დიპიეტროს კარი. მხოლოდ აშშ-ელთა მეკარის თამაშმა იხსნა ამერიკელები ძირითად დროში მარცხისგან, თუმცა ბოლოს, როგორც [illegible], შურისძიება [illegible].

„უაღრესად მძიმეა, ბულიტების სერიაში მარცხი გადახარშო, სამაგიეროდ, ახლა კარგად მესმის, თუ რა დღეში იყვნენ შარშან ჩვენი მეტოქეები" — თქვა ნამატჩევს ამერიკელთა თავკაცმა პიტერ ლავიოლეტმა.

### შვედეთი — შვეიცარია
*2:1 1:1 1:0 0:0*

**0:1 პლიუსი (2), 1:1 კრენვალი (7), 2:1 დ. სედინი (25)**

**რა კარგია,** მატჩი რომ დასრულდება და გამარჯვებული ფილოსოფოსობას იწყებს. შვედების კაპიტან იორგენ იონსონს თუ დავუჯერებთ, ის სულაც არ აღელვებულა, როცა მეტოქე დაწინაურდა და აბსოლუტურად იყო დარწმუნებული თავისიანთა მოგებაში.

მართლაც ასე მოხდა. პირველივე წამებზე უმცირესობაში დარჩენა „ტრე კრუნურს" ძვირად დაუჯდა და შვეიცარიელთა ლიდერმა მარტინ პლიუსმა ხუთიანზე გამოიყენა თავისი შანსი. ცოტა ხანში შვეიცარიელებს კიდევ მიეცათ საგოლე შანსი. ეს იყო და ეს. მეშვიდე წუთზე შეტევაში ჩართულმა მცველმა ნიკლას კრენვალმა ადვილად მოუგო დუელი მეკარეს და თამაში სკანდინავთა კარნახით წარიმართა. თუმცა ეს უპირატესობა მათ მხოლოდ კიდევ ერთ გოლად აქციეს, როცა დანიელ სედინმა ბრწყინვალედ დაასრულა თავისი გარღვევა და შესაბამისად ბოლო წუთებამდე შვედებს მინიმალური სხვაობის შენარჩუნებაზე დასჭირდათ ზრუნვა. მართალია, მეტოქემ დიდად არ შეაწუხა, მაგრამ იმავე იონსონის არ იყოს, „ერთი შემთხვევითი რიკოშეტი და 2:1-ს ნაცვლად 2:2 იქნებოდა, ამას მერე ოვერტაიმი მოჰყვებოდა და მერე ვინ იცის".

**მე-13-16 ადგილებისთვის**

**სლოვენია — ავსტრია 6:2**

**ავსტრია და გერმანია ტოვებენ უმაღლეს დივიზიონს**

**ნახევარფინალებში ერთმანეთს რუსეთი — კანადა და შვედეთი — ჩეხეთი ხვდებიან**

**სამველ ღარიბიანი**



# გილერმოს სათიხნარო ლაღობა

### მასტერსერია
ჰამბურგი. თიხნარი

საპრიზო 1,87 მლნ €

**მესამე წრე**

**როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია)** — ტომი რობრედო (14, ესპანეთი) 6:2 6:3; **კრისტოფ როხუსი** (ბელგია) — გასტონ გაუდიო (4, არგენტინა) 2:6 7:5 6:3; **ხუან იგნასიო ჩელა** (არგენტინა) — ტიმ ჰენმანი (5, ბრიტანეთი) 3:6 6:4 6:2; **გილერმო კორია** (10, არგენტინა) — მარიო ანჩიჩი (ხორვატია) 6:4 6:3; **ნიკოლაი დავიდენკო** (15, რუსეთი) — ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) 3:6 6:2 6:1; **ფილიპო ვოლანდრი** (იტალია) — სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი) 6:3 6:4; **ანდრეას სეპი** (იტალია) — ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) 6:3 6:4; **რიშარ გასკე** (საფრანგეთი) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:1 6:2

**უკვე** სამი წელია, გილერმო კორია დასტურ მიიჩნევა სათიხნარო კორტების ერთ შეუცვლელ ლიდერად. ამ ხნისას მას 6 თიხნარიანზე წილ უკვე 42 გამარჯვება დაუგროვდა. ლაღად ბურთაობდა ის საკუთრივ ჰამბურგულ მასტერსიანზეც, სადაც — შეგახსენებთ და — შარშანწინ რომ იმარჯვლა, შარშანდელ ფინალში როჯერ ფედერერთან იძლია. სამისოდ, რათა მეოთხედფინალში ფედერერთან რემატჩი გაეჩაღებინა, კორიამ ყუმბარისებრ მოგლაჯუნე ხორვატი, გორანიშვილად წოდებული მარიო ანჩიჩი დაიმორჩილა.

რაც შეეხება ფედერერს, მან უკვე მეექვსე მარცხი აგემა ნიჭიერ ესპანელ ტომი რობრედოს და 3 ჰამბურგული მარცხის წილ უკვე 17 მოგება ეგულება.

მხოლოდ 53 წუთი დასჭირდა სლოვანი ჰრბატის ასაოტებლად ფრანგ თინეიჯერ რიშარ გასკეს, ვინაც — გეხსომებათ — მონტეკარლოურ მეოთხედფინალშიც ითამაშა და იქ ფედერერს აჯობა.

აღსანიშნავია ისიც, რომ უკანასკნელ რვეულს უწია ორმა იტალიელმა, რაიც რაგინდარა მასტერსტურნირზე 1990 წლის მერე აღარ მომხდარა.

### ITALIA MASTERS
რომი. თიხნარი

საპრიზო 1,3 მლნ $

**მესამე წრე**

**მარია შარაპოვა** (1, რუსეთი) — მარი პირსი (საფრანგეთი) 7:6 (7:4) 6:4; **ამელი მორეზმო** (2, საფრანგეთი) — სილვია ფარინა ელია (13, იტალია) 6:4 6:3; **ვერა ზვონარიოვა** (6, რუსეთი) — კატალინა კასტანიო (კოლუმბია) 6:1 5:7 6:2; **კონჩიტა მარტინესი** (ესპანეთი) — ნადია პეტროვა (7, რუსეთი) პეტროვას არ უთამაშია; **პატი შნიდერი** (8, შვეიცარია) — ანა ივანოვიჩი (სერბეთი) 6:3 6:2; **ელენა ბოვინა** (9, რუსეთი) — პაოლა სუარესი (არგენტინა) 3:6 6:3 7:6 (7:5); **ფრანჩესკა სკიავონე** (იტალია) — აი სუგიამა (15, იაპონია) 6:3 7:5; **ევგენია ლინეცკაია** (რუსეთი) — ხისელა დულკო (არგენტინა) 5:7 6:4 6:4

**მას** შემდეგ, რაც რომ რომაობის ფინალში სამჯერ ძლეულმა შარშან მაინც შეძლო, ეპირველა, საეჭვოა, ამელი მორეზმომ რამე იოლად დათმოს. ჰოდა, ჯერ-ჯერობით არც თმობს კიდევაც და მეოთხედფინალის მისადგომებთან გამოცდილ იტალიელ ფარინა ელიას მოუგო.

იმარჯვა ამელის უმთავრესმა კონკურენტმა, მარია შარაპოვამაც, ვინაც დაძაბულ ბრძოლაში მოდრიკა ტურნირის 1997 წლის გამარჯვებული მარი პირსი.

ერთადერთი ბობოლა განთესილი ქალი, იმ დღეს რომ ვერ გაივაკა გარდერობივით რუსი ნადია პეტროვა გახლდათ — იგი მარჯვენა მუხლის ტრავმამ დაალალატა.



გილერმო კორია



რუბენს ბარიკელო

FORMULA1 WORLD CHAMPIONSHIP

# რუბენსი რიკარდოს ვერ მოერევა?

**კვირას** ბარსელონაში ესპანეთის დიდი პრიზის გათამაშება ბრაზილიელ მეფორმულე რუბენს ბარიკელოსთვის ზესაიუბილეო, მეორასე ეტაპი გახდა. 32 წლის სან-პაულუელი „სამეფო რბოლების" ისტორიაში მეშვიდე მძღოლია, ვისაც ეს ზღვარი დაუძლევია.

256-რბოლიანი რეკორდი კი, რომელიც 12 წლის წინათ დამყარდა, იტალიელ რიკარდო პატრეზეს ეკუთვნის. ამ ხნის განმავლობაში პადუელის ფანტასტიკურ მიღწევას ახლოც ვერავინ მიეკარა და რიკარდო ეტყობა, კიდევ ძალიან დიდხანს დარჩება საეტაპო მწვერვალზე.

მოგახსენებთ, რატომ. ცხრილში მეორე პოზიციაზე მდგომი მიხაელ შუმახერი პატრეზეს 38 რბოლით ჩამორჩება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რეკორდის დასაკუთრებისთვის „წითელი ბარონი" წლევანდელის გარდა კიდევ ორი სეზონი უნდა დარჩეს საჭესთან, რაც ნაკლებ სავარაუდოა. მით უმეტეს, ამჟამინდელი ჩაფლავების შემდეგ შვიდგზის ჩემპიონმა იქნებ წლეულსვე, „ფერარისთან" კონტრაქტის გასრულებამდე მიატოვოს რბოლები.

რუბენსს რიკარდოს რეკორდის ხელყოფის ჩინებული შანსი კი აქვს, მაგრამ ისიც შუმის დღეშია — თანდათან უნელდება ჯირითის სურვილი და საეჭვოა, 2008 წლამდე იქროლოს ტრასებზე.

სხვა ვეტერანების ვარიანტი გამორიცხულია.

პატრეზემ 17 ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა და ეპოქალური კარიერა ორმოცს მიტანებულმა, 1993 წელს ავსტრალიაში რბოლით დაასრულა. აღსანიშნავია, რომ ბარიკელოს დებიუტიც იმ სეზონში შედგა. რიკარდომ ექვსი ეტაპი მოიგო და 1992 წელს მსოფლიოს ვიცეჩემპიონობაც მოიპოვა. რუბინიოს მონაგარი ბევრად სჯობს — ცხრა დიდი პრიზი და ორჯერ (2002, 2004) მეორე ადგილი. ბრაზილიელი 13-წლიან კარიერაში სამ გუნდში გამოდიოდა — „ჯორდანი" (1993-96), „სტიუარტი" (1997-99), „ფერარი" (2000 წლიდან).

საინტერესო დამთხვევაა — ბარიკელო თავისი მეასე (1999, მონტე კარლო) და მეორასე რბოლები მეცხრე ადგილზე გავიდა.

ფორმულა 1-ში დღეგრძელობის უნიკალური რეკორდის დამხობის შანსი აქვთ იმ „ხვალინდელ" პილოტებს, რომლებიც 20-22 წლის ასაკში გამოჩნდნენ ტრეკებზე. ასეთები კი არცთუ ცოტანი არიან: 25 წლისანი ჯენსონ ბატონი (88 რბოლა) და კიმი რაიკონენი (72), 23 წლის ფერნანდო ალონსო (56), 24 წლის ფელიპე მასა (39). დღესხვალ ალბათ სხვაც გამოჩნდება.

**გია ახალაძე**

**ყველაზე მეტრბოლიანთა ოცეული**

| | მრბოლი | ქვეყანა | რბოლა | მოგება |
|---|---|---|---|---|
| 1 | რიკარდო პატრეზე | იტალია | 256 | 6 |
| 2 | მიხაელ შუმახერი | გერმანია | 218 | 83 |
| 3 | გერჰარდ ბერგერი | ავსტრია | 210 | 10 |
| 4 | ანდრეა დე ჩეზარისი | იტალია | 208 | 0 |
| 5 | ნელსონ პიკე | ბრაზილია | 204 | 23 |
| 6 | ჟან ალეზი | საფრანგეთი | 201 | 1 |
| 7 | რუბენს ბარიკელო | ბრაზილია | 200 | 9 |
| 8 | ალენ პროსტი | საფრანგეთი | 199 | 51 |
| 9 | მიქელე ალბორეტო | იტალია | 194 | 5 |
| 10 | ნაიჯელ მენსელი | დიდი ბრიტანეთი | 187 | 31 |
| 11 | დევიდ კულჰარდი | დიდი ბრიტანეთი | 180 | 13 |
| 12 | გრემ ჰილი | დიდი ბრიტანეთი | 176 | 14 |
| | ჟაკ ლეფიტი | საფრანგეთი | 176 | 6 |
| 14 | ნიკი ლაუდა | ავსტრია | 171 | 25 |
| 15 | ტიერი ბუტსენი | ბელგია | 163 | 3 |
| 16 | მიკა ჰაკინენი | ფინეთი | 162 | 20 |
| 17 | აირტონ სენა | ბრაზილია | 161 | 41 |
| | ჯონი ჰერბერტი | დიდი ბრიტანეთი | 161 | 3 |
| 19 | მარტინ ბრანდლი | დიდი ბრიტანეთი | 158 | 0 |
| 20 | ჰაინც-ჰარ. ფრენცენი | გერმანია | 157 | 3 |
| | ოლივიე პანი | საფრანგეთი | 157 | 1 |
| ... | | | | |
| 26 | ჯანკარლო ფიზიკელა | იტალია | 146 | 2 |
| ... | | | | |
| 29 | ჟაკ ვილნევი | კანადა | 139 | 11 |
| ... | | | | |
| 31 | იარნო ტრული | იტალია | 135 | 1 |
| ... | | | | |
| 33 | რალფ შუმახერი | გერმანია | 132 | 6 |



# სოფიაში დიდოსტატები ჟამს აზმაიფარაშვილს ეკითხებიან

## მ-ტელ მასტერსის ტურნირი

სოფია. ბულგარეთი. 11 - 22 მაისი

**I ტური**

ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) — რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) 1:0
მაიკლ ადამსი (ინგლისი) — იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) 0,5:0,5
ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) — ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) 0,5:0,5

**კლასიკური** ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონმა ვლადიმერ კრამნიკმა ფიდეს ექსჩემპიონ რუსლან პონომარიოვს თეთრი ფიგურებით მოუგო და ცხრილის სათავეში მოექცა.

შეგახსენებთ, რომ სოფიაში დიდოსტატებს თამაშის ახალი, მკაცრი წესები აქვთ. პარტიის მსვლელობისას მათ ერთმანეთთან კონტაქტი და სწრაფი ყაიმების გამოცხადება ეკრძალებათ. აქაური წესებით, ყაიმი მხოლოდ სამ შემთხვევაში დაფიქსირდება: სვლებს თუ სამჯერ გაიმეორებენ, მეფეზე მუდმივ ქიშებს გამოაცხადებენ ან თეორიულად სხვა გამოსავალი აღარ დარჩებათ. სანამ მეტოქეს ყაიმს შესთავაზებდეს, მოჭადრაკემ მთავარ არბიტრთან უნდა გაიაროს კონსულტაცია და მსაჯთა ამ ბრიგადას ქართველი დიდოსტატი, ფიდეს ვიცე-პრეზიდენტი ზურაბ აზმაიფარაშვილი ხელმძღვანელობს.

პირველ ტურში რუსისა და უკრაინელის შეხვედრა 60 სვლა გაგრძელდა. კრამნიკმა და პონომარიოვმა კარო-კანის დაცვა გაითამაშეს, მეოთხე სვლაზე პაიკები გაცვალეს და ცენტრში მანევრირებას შეუდგნენ. პონომარიოვი აქტიურად ჩაერთო თამაშში, ცენტრიდან პაიკით დაარტყა მეტოქეს და მე-14 სვლაზე მარჯვენა ფლანგზე ლაზიერით გამოვიდა. ერიშებისას პონომარიოვმა ტაქტიკური შეცდომა დაუშვა, ცენტრში მდგარი მხედრით წინ წავიდა და რუსს დაფის ერთი ნაწილი დაუთმო. მეტოქის შეცდომით უმალ ისარგებლა კრამნიკმა, დიდი ძალებით მიაწვა უკრაინელს, ეტლები გაუცვალა და 28-ე სვლაზე ხარისხითაც დაწინაურდა. მეტოქეებმა პაიკების გაყვანაზე დაიწყეს ზრუნვა. კრამნიკი თამამად შეუდგა ბრძოლას. იგი გაცვლებს არ ერიდებოდა. მარჯვენა ფლანგიდან განავითარა შეტევა, მეტოქეს ყურადღება იქით გადაატანინა, თვითონ კი მარცხნიდან გაიჭრა წინ. მე-60 სვლაზე პონომარიოვი თავის შეცდომას მიხვდა და კრამნიკს გამარჯვება მიულოცა.

ყაიმისთვის ამდენივე სვლა დასჭირდათ ანანდსა და ტოპალოვს. ბულგარელი დებიუტში სიცილიური დაცვით დაუხვდა მრისხანე ანანდს და მე-9 სვლაზე B ხაზზე მოძრავი პაიკით შეუტია. ინდუსმა არ ინება მიიერიშე ბულგარელთან შეტაკება, მე-11 სვლაზე როქი გააკეთა და მომხვდურს მას შემდეგ უპასუხა, ტოპალოვი პაიკებით მიაწვა თეთრებს. წინ წასასვლელი ყველა გზა მოუჭრა და მე-14 სვლაზე პაიკი დაწინაურდა. ხარისხის დასაბრუნებლად ანანდმა ექსპერიმენტებს მიმართა, მე-18 სვლაზე მოწინააღმდეგის ლაზიერი შესწირა, მის მსუბუქ ფიგურებს დაერია, ხელმწიფის ფლანგი საიმედოდ გაამაგრა და A ხაზზე პაიკის გაყვანას შეუდგა. საპასუხოდ ბულგარელმა H ხაზზე მდგარი პაიკი დაძრა, მეტოქეებმაც მოიერიშე ფიგურებზე გადაიტანეს ყურადღება და ამასობაში სხვა პაიკები გაცვალეს.

55-ე სვლაზე ტოპალოვმა შეძლო პაიკის ლაზიერად გადაქცევა, ანანდმა ხელმწიფეს სამჯერ დაემუქრა და ყაიმიც გამოაცხო.

სიცილიური პარტია გაიმართა ადამს-პოლგარის შეხვედრაშიც და 74 სვლაზე ყაიმით დასრულდა.

**ლაშა გეგეჭკორი**



## ზე-თორმეტი

# რეალური „ბულზი", სათუო „ჰაილენდერსი" და შეუძლებელი „ბრამბისი"

**ზე თორმეტის** გათამაშება დასკვნით ფაზაში შედის. დღეს გაგრძელდება ჯგუფური ეტაპის უკანასკნელი ტური, რომელიც გუშინ 2 მატჩით გაიხსნა.

„ქრუზეიდერსმა" ქრაისთჩარჩში „ჰარიკეინსი" მიიღო. ჯვაროსნები ცხრილში პირველ ადგილზე გასვლას ეშურებოდნენ, „ჰარიკეინსს" კი არც პირველობის შანსი ჰქონია და არც საპლეიოფო ზონიდან გავარდნა ემუქრებოდა. ამიტომ რა გასაკვირია, რომ მეტად მოტივირებულმა მასპინძლებმა, რომლებიც სტუმრებს ისტორიულადაც და დღევანდელი სათამაშო ფორმით თუ კლასითაც აღემატებიან, დიდი ანგარიშით — 40:20 გაიმარჯვეს.

მეორე თამაში სიდნეიში გაიმართა. ცხრილის ოდინდელი მოთავე „ვარატასი" ოკლენდის „ბლუზს" იღებდა და 4 ლელოს გატანა მართებდა, რომ მოგებასთან ერთად ბონუს ქულა აეღო და ლიდერობა დაებრუნებინა. ეს მას შემდეგ გაირკვა, რაც „ქრუზეიდერსმა" იმარჯვა და ავსტრალიელებს ცხრილში 4 ქულით გაუსწრო. „ვარტასმა" 25:20 იმარჯვა, თუმც ბონუსამდე 1 ლელო დააკლდა და „ჯვაროსნების" დარად, 4" ქულა მოუგროვდა. ვინაიდან ზელანდიელებს ბურთების სხვაობა უკეთესი ჰქონდათ, ცხრილის სათავეშიც ისინი დარჩნენ, „ვარტასი" კი, რომელიც თითქმის მთელი გათამაშების განმავლობაში ლიდერობდა, მეორეა.

დღეს 4 თამაშია, და ბოლო ნახევარფინალისტის ვინაობა გაირკვევა.

„კრუზეიდერსს", „ვარატასსა" და



ენდრი მერთენსს „ჭვაროსანთა" გაპირველება უხარია

„ჰარიკეინსს" სავარაუდოდ პრეტორიის „ბულზი" შეუერთდებოდა. ყველაზე რეალური შანსი სწორედ „ხარებს" აქვთ. სამხრეთაფრიკელები პრეტორიაში თანამემამულე „სტორმერსს" მიიღებენ. სტუმრებმა პლეი ოფზე ოცნება დიდი ხანია შეწყვიტეს და ახლა იმასღა თუ შეეცდებიან, რომ დერბის დაძაბულობა არ მოაკლონ, პრეტორიელთა გულის გასახეთქად და მათ მეტოქეთა გასახარებლად იბურთაონ. თუმცა იმ შემთხვევაშიც კი, თუ „სტორმერსი" იმარჯვებს, „ბლუზს" პლეი ოფში მოხვედრის შანსი აქვს. გააჩნია, კონკურენტები რას იზამენ. მეორეც, 7 ქულაზე ნაკლებით თუ წააგეს ან მარცხის მიუხედავად 4 ლელო გაიტანეს, „ხარები" ბონუს ქულას მოინაგრებენ და ნახევარფინალში მოხვედრასაც იზეიმებენ. ისე რომ, „ჰაილენდერსს" და მათ ფანტებს, შერცხვენილ ჩემპიონ „ბრამბისს" წლევანდელ გათამაშებაში ბრძოლის გაგრძელების მეტად ბუნდოვანი შანსები აქვთ.

„ჰაილენდერსი" სტუმრად ჰამილტონში ეთამაშება ახალზელანდიურ „ჩიფსს". „ჰაილენდერსი" პრეტორიულ „ბულზს" სულ რაღაც 2 ქულით ჩამორჩება და გამარჯვება 3 აერივით სჭირდება, მაგრამ მოგების შემთხვევაში მაინც „ხარების" მატჩს უნდა დაელოდოს და მის მოწინააღმდეგე „სტორმერსს" უქომაგოს.

კიდევ ერთი გუნდი, რომელსაც ნახევარფინალში თამაშის თეორიული შანსი შერჩენია, ავსტრალიური „ბრამბისია". იმისათვის, რომ ჩემპიონებმა პლეი ოფისაკენ გაიკვალონ გზა, საჭიროა ჯერ „ჰაილენდერსმა" წააგოს პირწმინდად „ჩიფსთან", შემდეგ თავად მოიგოს დიდი ანგარიშით და ბონუსით ქუინსლენდში „რედსთან" და ბოლოს დაელოდოს პრეტორიულ მატჩს, სადაც „სტორმერსმა" „ბულზს" ისე უნდა აჯობოს, რომ 1 ბონუს ქულაც კი არ აღებინოს.

დაგვეთანხმებით, ასეთი რამ შეიძლება მხოლოდ სიზმარში მოხდეს.

ტურის უკანასკნელი მატჩი ბლუმფონტაინშია დანიშნული. „ქეთსი" და „შარქსი" ცხრილში მეთერთმეტე-მეთორმეტე ადგილებზე არიან და მათი შეხვედრაც მხოლოდ იმასღა გამოარკვევს, თუ ვინ გავა უკანასკნელ ადგილზე.

**ლადო ფულუკაძე**

# პელე ათენს ჩასულა

პელე ათენს ჩასულა და ნაირგვარი ვიზიტებიც ჩაუტარებია. მაგალითად, საჩუქრად „ოლიმპიაკოსის“ მაისურაც მიუღია ნაკრების ყოფილ მწვრთნელ კოსტას პოლიხრონიუსვან და რივალდოსთან ერთად პრესკონფერენციაც გაუმართავს. რივალდო ხომ „ოლიმპიაკოსის“ ლიდერია.



AFP ათენიდან




# ბარსას ბანაკში

„ბარსა“ ვარჯიშობს. ესპანეთის ჩემპიონობის მეხვიდმეტედ გაფორმებამდე კლუბს სულ ცოტაღა დარჩა — ქვევ ორი დღეც. თუმცა, ვარჯიში ჩვეულებრივად მიმდინარეობს. შვილების გამოჩენა „ბარსას“ ბანაკში ჩვეულებრივი ამბავია, ჰოდა, სამუელ ეტოოც თავის ვაჟს უხსნის, რა და როგორ.



AFP ბარსელონიდან




AFP რიო დე ჟანეიროდან

# ძველები ქვიშაში

ქვიშის ფეხბურთი ისეთი რამაა, რომ თვალის მიჩვევა უნდა. კოპაკაბანაზე მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატმა უკვე მეოთხედფინალს უწია. თვალს კი იოლად მიაჩვევთ, როცა რომარიო ფარიასსა და ერიკ კანტონას დაინახავთ.



AFP რიო დე ჟანეიროდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე
კობა ინასარიძე, ილია ნანიაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი,
გიორგი დარჩიაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი,
ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კელაურაძე
ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი,
ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი,
მაგდა ლოგრაშვილი, ზეიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე,
თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge